# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი 1998 · №195 (730) · ფასი 50 თეთრი


...ქაღალდების დასტა, ტელეფონის ზარი, უამრავი მომკითხველი, საქმე — თავსაყრელი, საბუთების მზადება, არც ერთი წუთი თავისუფალი, ყველას უარი მიღებაზე. ჟურნალისტობამ გაჭრა.

— მობრძანდით, ოღონდ... აღარ დაამთავრა ვალერი ჩოლარიამ.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ხელმოწერილი ბრძანების საფუძველზე ვალერი ჩოლარია ფედერაციის გენერალურ მდივნად დაინიშნა. მხოლოდ ფორმალობაღაა დარჩენილი — 30 ოქტომბერს ახალშეკრებილი აღმასკომის წევრები ვალერი ჩოლარიას ალბათ გენერალური მდივნის პოსტს უბოძებენ.

ვფიქრობდით, ბევრი გვარი დავასახელეთ, არც დავით კვინიკაძე გამოგვრჩენია, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, ფედერაციის პრეზიდენტის სიურპრიზი. მერაბ ჟორდანიამ თავისი ახალი გუნდის პირველი წევრი დაასახელა და თანამდებობაზეც დანიშნა — ამიერიდან კვინიკაძის მაგივრობას ჩოლარია გასწევს. კაცი, რომელიც ბავშვობიდანვე სპორტშია. იგი დღემდე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე; ერთი ხანობა „დინამოშიც“ კი, ოღონდ მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობამდე.

ჟურნალისტობამ გაჭრა, მობრძანდით, ოღონდ... მიგვიპატიჟა თავისთან ვალერი ჩოლარიამ.





მერაბ ჟორდანიამ პირველი თანაგუნდელი აირჩია

# ვალერი ჩოლარია: დასანგრევი დანგრეულია. ახლა ვაშენოთ!

**— გილოცავთ...**

— რას მილოცავთ?

**— ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნობას.**

— ოო, კი, მაგრამ ეგ ჯერ ადრეა. ყველაფერი 30 ოქტომბერს აღმასკომის სხდომაზე გადაწყდება.

**— ეჭვი გეპარებათ, რომ აღმასკომი თქვენს კანდიდატურას დაამტკიცებს?**

— რა ვიცი, გამორიცხული არაფერია.

**— ბრძანება დაწერილია, ესე იგი, გენერალური მდივანი ბრძანდებით.**

— ეგრეა.

**— ელოდით ამ თანამდებობას?**

— მოულოდნელი იყო, მაგრამ როცა შემომთავაზეს, დავთანხმდი. მჯერა, დარწმუნებული ვარ, ქართული ფეხბურთისთვის სიკეთის მოტანა შემიძლია. მთელი ცხოვრება სპორტში ვმუშაობ, ფეხბურთშიც ჩახედული ვარ და მერაბ ჟორდანიასაც გვერდით დავუდგები. კაცს, რომელმაც დღემდე მოიტანა თბილისის „დინამო“, რომელმაც შვიდი წლის მანძილზე უპატრონა და შეინახა ჩვენი უცვლელი ჩემპიონი.

**— საპასუხისმგებლო პოსტი ჩაიბარეთ. არ გეშინიათ?**

— რისი უნდა შემეშინდეს? ამაზე უარესი რაღა მოხდება? დასანგრევი უკვე დანგრეულია. რომც მოვინდომო, დღევანდელზე ცუდს რას ჩავიდენ. სხვა გზა არ არის — ფეხბურთი უნდა ავაღორძინოთ.

**— დიდი გამოცდილება გაქვთ.**

— იცოცხლეთ, მართლაც. თბილისის „დინამოშიც“ კი ვმუშაობდი ვიცე-პრეზიდენტად. მურთაზ ხურცილავა, გივი ნოდია, რეზო ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი ჩემი დიდი მეგობრები არიან. 20-25 წელია, ქართულ სპორტს ვემსახურები, ბევრი ახლობელიც შემძინა სპორტმა.

**— ახალ სამსახურში პირველად რას გააკეთებთ?**

— ჯერ საბუთებს ვეცნობი. ყველაფერი უნდა შევისწავლო. ფეხბურთი ხომ დიდი საქმეა, ის ცალკეა, სპორტის დანარჩენი სახეობები კი სულ სხვაა. აი, ეს ქაღალდები სულ ფედერაციის საქმიანობაზეა, ნელ-ნელა ვცდილობ გავერკვიო. გენერალური მდივნის ფუნქცია მეტად შრომატევადია, ფედერაციის ყოველდღიური მუშაობა სწორედ მის კისერზეა. დღეს კი მიჭირს რაიმე კონკრეტული ვთქვა, ცოტაც მოითმინეთ და თავად დაინახავთ, რას გავაკეთებ.

**— პრეზიდენტთან ერთად თქვენც ხომ მოგიწევთ ახალ კადრებზე ფიქრი? ვინმე შერჩეული გყავთ?**

— არა, ჯერ არავინ. მერაბ ჟორდანიამ ფედერაციის თანამშრომლებთან შეხვედრისას თქვა, ორი თვე კიდევ ვიმუშავოთ, მერე კი ბევრი თქვენგანი დატოვებს აქაურობას, ბუნებრივია, საქმის მცოდნეთა გარდა. ვეთანხმები პრეზიდენტის აზრს. ფედერაციაში ბევრი ცვლილება მოხდება, მაგრამ ძველებიდანაც დარჩება რამდენიმე კაცი, ის, ვინც ნაღდი პროფესიონალია, ვინც დავალებას ხუთიანზე შეასრულებს.

**კობა ინასარიძე**

**ვალერი ჩოლარია**

დაიბადა 1948 წლის 5 იანვარს გუდაუთაში.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონი ცურვაში.

სპორტის ოსტატის წოდება 14 წლისამ დაიმსახურა.

1965-70. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტზე.

1971-81. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი, შემდგომში საორგანიზაციო ნაწილის უფროსი, კურირებდა ცურვას.

1981-88. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სპორტის სამმართველოს უფროსი.

198892. საფეხბურთო კლუბ „დინამო“ თბილისის ვიცე-პრეზიდენტი.

1992-96. საქართველოს სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი თანამეგობრობის ქვეყნებში.

1997-98. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

1998 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად დაინიშნა.

# არჩევანი: მართალი თუ მცდარი

1998 წლის 23 ოქტომბერი ისტორიის ...ფურცლებად იქცა. ვნებათაღელვა ჩაცხრა. ...ქართულ ფეხბურთს ახალი ხელმძღვანელი ...გამოუჩნდა. ყრილობის დელეგატებმა მერაბ ...ჟორდანია ალექსანდრე ჩივაძეს, ილია დათუ...აშვილსა და რამაზ გოგლიძეს ამჯობინეს. ...თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგ...რამ თურმე ახლა იწყება, კიდევ არაერ...თხელ მოგვიწევს ისტორიის ფურცლის ...გადაშლა. კიდევ არაერთხელ გავიხსენე...ბთ 1998 წლის 23 ოქტომბერს. ყოველ ...შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედი...დან ასე ჩანს.

...ჟორდანიას ბევრ მომხრესთან ერთად ...ერთი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა. ამ...თა რიცხვს ისინიც მიემატებიან, რომე...ლთა მომდურებაც ქართული ფეხბურთის ...ახლადარჩეულ თავკაცს ნებსით თუ უნებ...ლიეთ მოუწევს. უნდა თუ არა მერაბ ჟორ...დანიას გამოსაშვები სისხლის გამოშვე...ბა მოუხდება. მიხვან ყველა კარდინალურ ...ცვლილებებს მოელის. სწორედ ამიტომაც ...აირჩია ბატონი მერაბი უმრავლესთა რჩე...ვამ.

ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობის გასრულებიდან ხუთი დღე მიილია. ეს დრო საკმარისია, კაცმა ცივი გონებით, ყოველგვარი ემოციების გარეშე გაანალიზოს მომხდარი.

ახლა, როცა ყველა დინებამ ერთ კალაპოტში მოიყარა თავი, შეიძლება ბევრი კიდეც ნანობდეს, არასწორად აფასებდეს თავის ნამოქმედარს, მაგრამ უკვე გვიანია, მატარებელი დიდი ხნის დაძრულია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (სულ მცირე ოთხი წლით) მერაბ ჟორდანია უდიდეს საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდა. მას უმძიმესი ტვირთის ტარება მოუწევს, რამეთუ, მის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, ფაქტობრივად „მკვდარი“ ქართული ფეხბურთია გასაცოცხლებელი. ვნახოთ, ახალი პრეზიდენტის ხასიათის სიმტკიცეს და პიროვნულ სიძლიერეს დროება გამოცდის, მანამდე კი...

მანამდე აწ უკვე გადარჩეულმა ფეხბურთის ფედერაციამ არჩევნები წააგო. ცხრაწლიან „ბატონობას“ ბოლო მოეღო. ძველმა ფედერაციამ მარცხი ყრილობამდე კარგა ხნით ადრე განიცადა. უკვე მაშინ იგრძნობოდა ძველი ჩინოვნიკების ერთგვარი დაბნეულობა და შიში. ერთიც იყო, ყველას მოსწყინდა დღემუდამ დაპირებები და მხოლოდ რეგრესი. არავითარი წინსვლა. რამდენიმე სათამაშო ბურთით და ჩვენი კლუბებისთვის ჯერაც გამოუყენებელი ფაქსებით გუნდის წარმომადგენელთა გადაბირებამ რა შედეგიც მისცა ფედერაციას, ყველამ თვალნათლივ დავინახეთ.

ფედერაციისთვის დამღუპველად იმოქმედა შინააშლილობამაც. ჩინოვნიკებმა ერთმანეთს უგანეს. ზოგი ვის შეეკრა და ზოგიც — ვის. წვრილფეხობამაც, აქაოდა გამკითხავი არავინაა, ცალკე დაიწყო პატრონის ძებნა.

ძველი ფედერაციის ფიასკოს ყველაზე მთავარი მიზეზი მაინც ის გახლავთ, რომ იამანიძის ქუჩას გამოაკლდა ეროვნულ ფეხბურთში ყველაზე დიდი ფიგურა. ცხონებული ნოდარ ახალკაცი საჭესთან რომ მდგარიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყრილობას ხმათა უდიდესი უმრავლესობით მოიგებდა. მას შესწევდა იმის უნარი, მტერი მოყვარედ ექცია. ახალკაცს ვერანაირი ოპოზიცია ვერ წააქცევდა. ობლად დარჩენილმა ფედერაციამ თავი ვერაფერს მოაბა. განუკითხაობამ და ნამდვილქართულმა დომხალმა კი საშური საქმე გააკეთა.

ყველაფრის გათვალისწინებით, 23 ოქტომბრის დილას ნათელი გახდა, ვინ მოიგებდა არჩევნებს. მანდატების ასაღებად ფედერაციაში მისული დელეგატების უმრავლესობა უპირატესობას მერაბ ჟორდანიას ანიჭებდა, თუმცა იქვე დასძენდნენ, საბოლოო არჩევანს უშუალოდ კენჭისყრისას გავაკეთებთო.

ყრილობაზე უმრავლესობა ფედერაციის გენერალური მდივნის, დავით კვინიკაძის გამოსვლას ელოდა. გენსეკის სიტყვას შეეძლო ბევრი „თავგასული“ დელეგატი სათავისოდ შეებრუნებინა, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს გააჩნია დასასრული. დაბლაგვებია „ქვეყნის საფეხბურთო აზროვნების ცენტრის“ მთავარ იდეოლოგს მახვილი. დავით კვინიკაძის გადაგდებულ ანკესზე არავინ წამოეგო. კაცს მეტად მწირი მატყუარა ება და იმიტომ.

საერთოდ, მთელი ყრილობა ანტიკვინიკაძისეული სცენარით წარიმართა. გენსეკს ეროვნული ჩემპიონატის უძლურობას ვერ პატიობდნენ.

დარბაზში აშკარად შეინიშნებოდა დაპირისპირებულ დაჯგუფებათა ორთაბრძოლა. ყველა თავისი რჩეულის უპირატესობას ქადაგებდა და ცდილობდა, ასეთი მარტივი ხერხით მოეპოვებინა სასურველი ფავორიტისთვის უპირატესობა.

მოვუსმინეთ ყველას და მოვისმინეთ ყველაფერი. ტრიბუნასთან ვიხილეთ მთავრობისა და პროკურატურის წარმომადგენლები, მწვრთნელები და გულშემატკივრები. უსიტყვოდ არც დარბაზში შემთხვევით მოხვედრილნი დარჩენილან და მასმედიამაც (სხვათა შორის, ყველაზე გამართულად და მიზანმიმართულად) გამოაცხადა გულისტკივილი, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ არ თქმულა ქართულ ფეხბურთს როგორ ვუშველოთ. ალბათ, აწი გვეტყვიან რა და როგორ უნდა აკეთონ.


იხილეთ მეორე გვერდი


**საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატი**

**6 ტური**

28 ოქტომბერი. ოთხშაბათი

**კოლხა — შევარდენი**

**ვითა — მაკაბი**

29 ოქტომბერი. ხუთშაბათი

**სდასუ — დინამო**

**თსუ — აზოტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 5 | 0 | 480:398 | 10 |
| აზოტი | 4 | 4 | 0 | 372:307 | 8 |
| თსუ | 5 | 3 | 2 | 449:415 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 2 | 333:339 | 6 |
| შევარდენი | 4 | 2 | 2 | 245:259 | 6 |
| კოლხა | 5 | 1 | 4 | 393:466 | 6 |
| ვითა | 4 | 3 | 1 | 280:272 | 6 |
| მაკაბი | 5 | 0 | 5 | 398:445 | 5 |
| სდასუ | 4 | 0 | 4 | 309:358 | 4 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა


იხილეთ მეცხრე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩევანი: მართალი თუ მცდარი

დასაწყისი პირველ გვერდზე

მოვუსმინეთ ყველას და მოვისმინეთ ყველაფერი. ტრიბუნასთან ვიხილეთ მთავრობისა და პროკურატურის წარმომადგენლები, მწვრთნელები და გულშემატკივრები. უსიტყვოდ არც დარბაზში შემთხვევით მოხვედრილნი დარჩენილან და მასმედიამაც (სხვათა შორის, ყველაზე გამართულად და მიზანმიმართულად) გამოაცხადა გულისტიკივილი, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ არ თქმულა ქართულ ფეხბურთს როგორ ვუშველოთ. ალბათ, აწი გვეტყვიან რა და როგორ უნდა აკეთონ.

და მაინც, ფედერაციას ლახვარი მის მიერ გაწეული მუშაობის არადამაკმაყოფილებლად შეფასებამ ჩასცა. სანამ ნოდარ ანდრიაძის მიერ საკმაოდ გაუგებრად დაყენებული საკითხი კენჭს იყრიდა, მანამდე ფედერაციის გავლენიანი მუშაკები დელეგატების სიახლოვეს მოკალათდნენ. ასეთი ჟესტით მანდატების მფლობელებს აგრძნობინეს, არაფერი შეგეშალოთ, აქ ვართ და ყველაფერს ვიმახსოვრებთო. არ გაჭრა ფარულმა მუქარამ. ჯებირი განგრეული გახლდათ და მოვარდნილ ტალღას ვერაფერი შეაჩერებდა.

ფედერაციას უმრავლესობამ წითელი ბარათი აუფრიალა. არ ვარგიხართო, უდიერად შეჰკადრეს მანამდე მორჩილებმა პატრონებს. დაუვიწყარია ფედერაციის თანამშრომელთა დაღვრემილი სახეები. ის ხალხი უცრემლოდ ტიროდა. ხედებოდნენ, ბრძოლა წაგებული რომ იყო, გრძნობდნენ, ტკბილადმოსაგონარი ხელიდან უფრინდებოდათ. ერთი მხრივ კიდეც შეგეცოდებოდათ ისინი, მაგრამ უკეთესი იყო, მათ გაცილებით ადრე შესცოდებოდათ დაღუპვის პირას მდგარი ქართული ფეხბურთი.

ამის შემდეგ ცხადი გახდა, ახალი სიო დაუბერავდა. სასწორი ვის მხარეს გადაიხრებოდა, არც ის იყო ძნელი მისახვედრი.

სანამ პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიას საბოლოო ბეჭედს დაუსვამდნენ და ტრიბუნასთან ათწუთიანი ინტერვალით ერთმანეთს შეცვლიდნენ, მანამდე პარლამენტარმა გია გვაზავამ პროგრესული და მისასალმებელი საკითხი დასვა, კერძოდ, უნდა განსაზღვრულიყო ახალარჩეული პრეზიდენტს ზედიზედ კიდევ რამდენჯერ მიეცემოდა უფლება, საკუთარი კანდიდატურის წამოსაყენებლად.

გადაწყდა: ორი ვადის გასვლის შემდეგ პრეზიდენტი ნებაყოფლობით ამბობს უარს დაკავებულ თანამდებობაზე და თავის კანდიდატურას მხოლოდ ოთხი წლის შემდეგღა თუ წამოაყენებს.

ამის მერე გადამწყვეტმა ზარმაც ჩამოკრა. ტრიბუნასთან პირველი რამაზ გოგლიძე დადგა. მღელვარებამ და მოუთოკავმა ემოციამ ბატონი რამაზის გამოსვლას თავისი დაღი დაამჩნია. ათ წუთში გოგლიძემ არაერთი მომხრე დაკარგა. მან ახალი ვერაფერი უთხრა დარბაზს. ათასჯერ თქმულის მოსმენა ძნელი ასატანი შეიქნა უკვე გადაღლილი და გაბეზრებული ხალხისთვის.

მომდევნო მონოლოგი ილია დათუნაშვილისა იყო. მართალია, ბატონ ილიას არავინ დაუკარგავს, მაგრამ მისმა სიტყვებმა ვერც მომხრეები მოიმრავლა. დათუნაშვილს თავის გამოსვლაში არაერთი სამდურავი წამოსცდა. ამანაც შეაჩერა მისი წინსვლა.

მერაბ ჟორდანიას სიტყვა ლაკონურიც იყო და საქმიანიც. მეც შემეძლო ფურცლები მომეშველიებინა, იცით, არ გამიჭირდებოდა, მაგრამ... ჟორდანია დელეგატებს მოეფერა. ეს იყო გამარჯვებული, თავის თავში დარწმუნებული კაცი, რომელიც ყოველგვარი ქვეტექსტებისა და კონსპექტების გარეშე საუბრობდა.

დაბოლოს, ალექსანდრე ჩივაძე. ფურცლები არც მას დასჭირვებია. ბატონმა საშამ ალალად თქვა ის, რასაც ფიქრობდა. თითქოს გარკვეული უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ყველაფერი ერთმა კითხვამ გადაწყვიტა...

— ბატონო საშა, ვინ იქნება ფედერაციის გენსეკი თქვენი პრეზიდენტობის შემთხვევაში?

...ჩივაძე თითქოს ჩაფიქრდა, თითქოს პასუხის გაცემაც გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს მოკლედ მოჭრა, გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე იქნებაო.

კვინიკაძის გენსეკობა ფედერაციაში მისი გუნდის დარჩენას მოასწავებდა. ესე იგი, ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩენილიყო. ეს მაშინ, როცა ძველებურად ცხოვრება არავის სურდა.

დელეგატთა საბოლოო არჩევანიც მაშინ გაკეთდა. ცხადი იყო, არჩევნებს მერაბ ჟორდანია მოიგებდა.

ალექსანდრე ჩივაძემ მეორე ტური საჭიროდ არ მიიჩნია. ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. 56 ხმა 112-ის წინააღმდეგ. მეორე ტური რომ შემდგარიყო, ჩივაძე არსენალს გვარიანად გაიმდიდრებდა. ილია დათუნაშვილის მომხრეთა უმეტესობა ხმას ჩივაძეს შეაწევდა, მაგრამ რამაზ გოგლიძის მომხრეები მერაბ ჟორდანიასკენ გადაიხრებოდნენ. სხვაობა ისევ სოლიდური იქნებოდა. მოკლედ, ალექსანდრე ჩივაძეს გამარჯვების არავითარი შანსი რჩებოდა. ამიტომაც არ გააწვალა ბატონმა საშამ ისედაც გატანჯული ხალხი.

სულ ბოლოს კი იყო გამარჯვებულის ტრიუმფი, უამრავი მილოცვა და მისალოცი სიტყვები. მოგვეჩვენა, თითქოს იყო საერთო სიხარული. ბევრს ჟორდანიას პირველკაცობა უხაროდა, ზოგს ის, რომ ქართული ფეხბურთის წინამძღოლიც გამოუჩნდა და აწი გაურკვევლობაში არ იქნებოდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არაფერი გახარებიათ. ეს არცაა გასაკვირი.

— ვიყოთ ერთად, სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს და საერთო საქმის საკეთებლად გავერთიანდეთო, ითქვა ყრილობაზე. მერაბ ჟორდანიას ბევრი რამის დამტკიცება მოუწევს. მის ნაშრომს დრო და დელეგატები შეაფასებენ ოთხი წლის შემდეგ. ყველაზე სწორ პასუხს კი ქართული ფეხბურთი გასცემს, ჯერჯერობით ტანჯული ქართული ფეხბურთი.

თუ ვენდეთ, თუ ავირჩიეთ, მაშინ შეგვიძლია, მოვთხოვოთ კიდეც. რა თქმა უნდა, ნორმალური მუშაობის საშუალებაც უნდა მივცეთ. ფაქტობრივად, მუშაობა ჯერ არც დაუწყია და ვერავინ შეედავება, შედეგი არ გაქვსო. დროა საჭირო, დრო ყველაფერში გასარკვევად.

მანამდე კი ჩვენც ვუერთდებოდით მიმლოცველებს. მართლად ევლოს ძნელ გზაზე რომელიც იმაზე გაცილებით რთული და ულმობელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. იმედს ვიტოვებთ, საქმე უარესობისკენ არ წაგვივა და ქართული ფეხბურთის გამარჯვებებზე ხშირად მოგვიწევს წერა.

**მამუკა კვანტალიანი**



კენჭისყრის შედეგის გაცხადებისთანავე, ჩივაძემ ასპარეზი ჟორდანიას დაუთმო




[illegible] ფოტოები



„ვიტ ჯორჯიას“ მეპატრონენი: გურამ რუხაძე და ბორის ხურგინი

# ვეტერინარები არ ჩქარობენ

ფირმა „ვიტ ჯორჯია“ 1987 წელს დაარსდა. ამერიკული კორპორაცია „ვიტ ინკორპორეიტედის“ საქართველოს ფილიალის მთავარ საქმიანობას ვეტერინარია წარმოადგენს, თუმცა ფირმის ხელმძღვანელობა და კერძოდ მისი პრეზიდენტი ბატონი გურამ რუხაძე სხვა კეთილ და ძნელ საქმესაც შესჭიდებია — საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ პატრონობს.

კვირას საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ — „გორდას“ მასპინძლობდა. თამაშის წინ ყურადღება ერთმა საშუალო ტანის, ჭაღარა კაცმა მიიპყრო, რომელსაც გურამ რუხაძე გვერდიდან არ შორდებოდა. ეს პიროვნება „ვიტ ინტერკორპორეიტედის“ ამერიკელი პრეზიდენტი ბორის ხურგინი აღმოჩნდა. ჩვენც, ბუნებრივია, შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვით და ორივეს გავესაუბრეთ.

**— ბატონო ბორის, რამ გადაგაწყვეტინათ ქართული გუნდის პატრონობა?**

— კორპორაცია უკვე 11 წელია, საქართველოში საქმიანობს. 1987 წელს, როდესაც გადავწყვიტეთ, აქ ჩვენი ფილიალი გაგვეხსნა, ვიცოდი, რომ შედეგს უმალ ვერ მოვიმკიდით. დაახლოებით სამიოთხი წლის განმავლობაში თანხებს მხოლოდ ვდებდით, არავითარ მოგებას არ ველოდით. შემდეგ ნელ-ნელა საქმე აეწყო და ახლა მშვენივრად მივდის.

*საუბარში გურამ რუხაძე ჩაერთო.*

— მოგვიანებით გუნდის შექმნის იდეაც დაგვებადა და თხოვნით მივმართეთ ბატონ ბორისს, იგი ჩვენს წინადადებას გაგებით მოეკიდა და ყველანაირი დახმარება აღგვითქვა. თავიდან საფეხბურთო კლუბი „კრწანისი“ ჩამოვაყალიბეთ, მერე სახელი შევუცვალეთ და „ზოოვეტი“ დავარქვით, საბოლოოდ კი „ვიტ ჯორჯიაზე“ შევჩერდით.

**— ბატონო ბორის, მიზანიც გექნებათ დასახული.**

— რა თქმა უნდა. შედგენილი გვაქვს სამწლიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც გუნდი საუკეთესო უნდა გახდეს საქართველოში. საშუალო ევროპულ კლუბად უნდა ჩამოვყალიბდეთ. ამ ფეხბურთელებს შესწევთ ამის უნარი, სურვილიც აქვთ და, ვფიქრობთ, შევძლებთ მიზნის მიღწევას.

**— ლეგიონერების მოწვევას ხომ არ აპირებთ?**

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენი ამოცანაა, ადგილობრივი ფეხბურთელები გავზარდოთ და ევროპული კლასის ოსტატებად ჩამოვაყალიბოთ. ამისათვის ყველანაირად დავეხმარებით. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ამერიკის პროფესიონალურ საფეხბურთო ლიგასთან და ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას ხელს შევუწყობთ, რომ იქაურ წამყვან კლუბებში გავუშვათ.

**— საშუალო ევროპულ კლუბად ჩამოყალიბებას პირობებიც შესაბამისი უნდა...**

— ბუნებრივია. დღეისათვის რა მოთხოვნებიც გვაქვს, პირობებიც შესაბამისია. ფეხბურთელები ხელფასსაც და პრემიასაც დროულად იღებენ, ერთი-ორი წლის შემდეგ კი, როდესაც მოთხოვნებს გავზრდით, პირობებსაც გავაუმჯობესებთ.

**— ბატონო ბორის, ბოლო დროს საქართველოში ტრადიციად იქცა ერთწლიანი გუნდები. გამოუჩნდება რომელიმე კლუბს პატრონი, დაიწყებენ ჩემპიონატს ამბიციებით, მაგრამ ბოლოს გარბიან.**

— ჩვენს შემთხვევაში ეს გამორიცხულია. როგორც გითხარით, როდესაც საქართველოში საქმიანობას მოვკიდეთ ხელი, პირველი 3-4 წელი მხოლოდ თანხებს ვაბანდებდით. ზუსტად იგივე ხდება კლუბშიც. ამჟამად ჩვენ თანხებს ვდებთ და რამდენიმე წელს ასევე გავაგრძელებთ, მერე კი შედეგსაც მოვიმკით. გუნდი ფაქტობრივად, ნულიდან შევქმენით და აქამდე მოვიყვანეთ, ახლა კი მეტის გაკეთებას ვეცდებით.

რამდენიმე კითხვაზე გურამ რუხაძემაც გვიპასუხა.

**— ბატონო გურამ, ფარმ-კლუბის შექმნას ხომ არ აპირებთ?**

— ეს საკითხი დადებითად გადავწყვიტეთ და უკვე მომავალი სეზონიდან ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში „ვიტ ჯორჯია 2“-იც მიიღებს მონაწილეობას.

**— დაბოლოს, რა კავშირია „ვიტ ჯორჯიასა“ და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტს შორის?**

— არანაირი კავშირი არ არსებობს. კლუბს მთლიანად ჩვენ ვაფინანსებთ. ერთადერთი, თუ ამას შეიძლება კავშირი ეწოდოს, ისაა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ რამდენიმე ფეხბურთელი ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლობს.

გვინდა, წარმატება ვუსურვოთ ხალხს, რომელთაც მართლაც სერიოზული მიზანი დაუსახავთ და თუ ვინმე გამოჩნდება მათნაირი, ნამდვილად მისასალმებელი და გასახარი იქნება.

**ვანო ოქროპირიძე**

# ლოკომოტივს კვიტატიანი ჩამორჩა

თბილისის „ლოკომოტივი“ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი იმ კლუბთაგანი, რომელთაც მეტ-ნაკლებად მოგვარებული აქვთ ფინანსური საკითხები, რაც შედეგზეც აისახება — გუნდი ჯერაც დაუმარცხებელია.

ორშაბათს რკინიგზელებს დიდი ბრძოლა ელით „სინათლეზე“ „მერანთან“. ფავორიტად ამ მატჩში სტუმრები ითვლებიან. თუმცა ბოლო დროს მომძლავრებულმა პრობლემებმა გუნდის სათამაშო ხარისხზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. უმთავრესი მათ შორის გელა კვიტატიანის კლუბიდან წასვლაა. ფეხბურთელი და გუნდის ხელმძღვანელები ფინანსურ საკითხებზე ვერ შეთანხმებულან, რაც გელას მიერ „ლოკომოტივის“ დატოვების მიზეზი გამხდარა.

არანაკლები საზრუნავი გაუჩინა თემურ მახარაძეს „მერანთან“ მატჩის წინ მოთამაშეთა ტრავმებმა — როინ მარღიშვილი ბოლო ტურში „დინამოსთან“ პაექრობისას სერიოზულად დაშავდა და მისი „სინათლეზე“ თამაში სათუოა. მამუკა ქარცხავას ძველი ტრავმა ჯერ კიდევ ვერ მოუშუშებია, ამიტომ ორშაბათის შეხვედრასაც გამოტოვებს. გაურკვეველია ხორგუაშვილისა და თარხნიშვილის ბედი, თუმცა ეს უკანასკნელი „მერანთან“ მატჩამდე, ალბათ, საბოლოოდ გამოჯანმრთელდება და ბურთაობასაც შეძლებს.

**ბაათა თოთაძე**

# სტუდენტებს ვეღარ დაიჭერენ

## თსუ-ს პოლიციელი პრეზიდენტი გამოუჩნდა

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტად დაინიშნა ქვემო ქართლის პოლიციის უფროსი ალეკო ბუკია. მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, სად უნივერსიტეტი და სად პოლიციაო, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი. თბილისის „დინამოც" ხომ ერთ დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი იყო.

საქმეში ბოლომდე გათვითცნობიერება ცოტა მოგვიანებით მოგვიწევს. უახლოეს დღეებში თსუ-ს დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართება და ყველაფერს ნათელი მოეფინება.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სტუდენტებს პოლიციელი მფარველი გამოუჩნდათ. ფეხბურთელებიც მალე ფინანსურად მოძლიერდებიან და მათი დაჭერა, რა თქმა უნდა, მინდორზე, მეტოქეებს ერთობ გაუჭირდებათ.

**ხვიჩა სანიძიძე**

# რეფორმები განრიგში

## დღეიდან ორზე ითამაშეთო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობაზე პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით დასავლეთის ზონის ორივე ქვეჯგუფის IX ტურის მატჩები გადაიდო. ახლა კი ცნობილი გახდა მათი ჩატარების თარიღები.

დასავლეთის ზონის „ა" ქვეჯგუფში მე-9 ტურის მატჩი „სამგურალი 2"-სა და „რიონს" შორის 1 ნოემბერს გაიმართება, დანარჩენი შეხვედრები კი — 2 ნოემბერს.

„ბ" ქვეჯგუფში IX ტურის შეხვედრების ჩატარების დღედ 3 ნოემბერი შეარჩიეს. აქვე იმ ცვლილებათა შესახებაც გეტყვით, მომდევნო ორ ტურში რომაა მოსალოდნელი.

X ტურის მატჩები კი ორივე ქვეჯგუფში კალენდრით 30 ოქტომბერსაა დანიშნული. როგორც ცნობილი გახდა, „ა" ქვეჯგუფში „საირმე" — „რიონი" და „ჩიხურა" — „სამგურალი 2", „ბ" ჯგუფში კი „სქური" — „ეგრისი" ერთი დღით ადრე, 29 ოქტომბერს გაიმართება, დანარჩენი შეხვედრები კი კალენდრის მიხედვით შედგება.

დასავლეთის „ა" ქვეჯგუფში, XI ტურის მატჩში „იბერია 2" და „მეშახტე" კალენდრით დადგენილი 5 ნოემბრის ნაცვლად ერთი დღით გვიან, 6 ნოემბერს ითამაშებენ, დანარჩენი შეხვედრები კი აქაც ადრე დანიშნულ დროს ჩატარდება.

ზამთრის დროზე გადასვლასთან დაკავშირებით ყველა ჯგუფში მატჩები ოქტომბერ-ნოემბერში 14 საათზე დაიწყება.

სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა 29 ოქტომბერს, დღის 12 საათზეა დანიშნული.

**გიორგი ვაშაძიძე**

# 9 ტური — მეორე ჯგუფი

### დასავლეთი, „ა" ქვეჯგუფი

I ტურის გამოტოვებული მატჩი

26 ოქტომბერი

**მეშახტე 2:0 რიონი**

1:0 კანკია (79პ), 2:0 ავალიშვილი (87)
გაფრთხილება: ბოჭორაშვილი, კალატოზი, გ. კალანდაძე, კოვზირიძე (ყველა მეშახტე), ბანძელაძე (რიონი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

### აღმოსავლეთი

21 ოქტომბერი

**ღარწყალი 5:1 მრეტები**

1:0 შალვაშვილი (13), 2:0 მჭედლიშვილი (40), 3:0 შალვაშვილი (58), 3:1 ნ. ჩალაძე (61), 4:1 ტოკლიკიშვილი (65), 5:1 გოლეთიანი (81)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ალგეთი 0:4 აკადემია**

0:1, 0:2 კოჩაძე (38, 52), 0:3 მ. ბურდული (70), 0:4 ე. გოგრიჭიანი (80)
გაფრთხილება: შუბითიძე (ალგეთი), ჩადუნელი (აკადემია)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ალაზანი 1:5 არსენალი 2**

0:1 კვირკველია (15), 0:2 ავალიანი (17), 0:3 რობაქიძე (35), 1:3 ქართველიშვილი (55), 1:4 ი. კვარაცხელია (60), 1:5 გოცირიძე (75)
გაფრთხილება: რობაქიძე (არსენალი 2)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ხალიბი 3:2 სამგორი**

1:0 სოხაძე (44), 1:1 კვილაძე (55), 1:2 არქანია (73), 2:2 რაზმაძე (74), 3:2 ლ. ალადაშვილი (78)
გაფრთხილება: გ. მიქაძე (ხალიბი)
გაძევება: ზ. მეტრეველი (73, ხალიბი)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ზოოვეტი 2:2 კახეთი**

**დინამო 3 — ყვარელი** გადაიდო

22 ოქტომბერი

**ძანაგკო 0:3 ჭაბუკიანი**

0:1 ბაქსაშვილი (26), 0:2 უ. მეტრეველი (43), 0:3 ბაქსაშვილი (87)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 8 | 7 | 0 | 1 | 19:5 | 21 |
| ღარწყალი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:7 | 20 |
| ყვარელი | 7 | 5 | 2 | 0 | 13:4 | 17 |
| არსენალი 2 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 17 |
| ხალიბი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:8 | 15 |
| ალგეთი | 9 | 5 | 0 | 4 | 16:14 | 15 |
| ზოოვეტი | 8 | 4 | 1 | 3 | 20:14 | 13 |
| ჭაბუკიანი | 9 | 4 | 1 | 4 | 17:14 | 13 |
| დინამო 3 | 8 | 4 | 0 | 4 | 9:14 | 12 |
| კახეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| უნივერსიტეტი | | | | | | |
| იბერია | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| სამგორი | 8 | 1 | 1 | 6 | 7:16 | 4 |
| მრეტები | 8 | 1 | 1 | 6 | 8:19 | 4 |
| ალაზანი | 9 | 1 | 0 | 8 | 10:27 | 3 |
| ძანაგკო | 8 | 0 | 1 | 7 | 5:25 | 1 |

### ცენტრი

21 ოქტომბერი

**ცხინვალი 6:1 მესხეთი**

1:0 ზ. მაისურაძე (29), 2:0, 3:0 ბოჭორაძე (41, 53), 4:0 ნასუაშვილი (67), 5:0 მოსიაშვილი (69), 6:0 გ. ტულუში (83), 6:1 სუდაძე (87)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**თორი 1:0 ცხუმი**

1:0 ვ. ფირცხალავა (73)
გაფრთხილება: დევდარიანი (ცხუმი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**ჟინერი 0:3 საუ**

„ჟინერი" არ გამოცხადდა.

22 ოქტომბერი

**დილა 2 2:4 ქარელი**

1:0 საყვარელიძე (5), 1:1 რ. გაგნიძე (35), 1:2, 1:3 მინაძე (41, 70), 1:4 მწყერაშვილი (75), 2:4 ბ. ჩიტაია (90)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**ვარძია 1:3 ლოკომოტივი 2**

0:1 ძოძუაშვილი (33), 1:1 კოხრეიძე (62), 1:2 ვ. ჩიტაია (68), 1:3 მორჩილაძე (82)
გაფრთხილება: სოლოიანი, გელაშვილი (ორივე ვარძია), ბოლქვაძე, კაცია (ორივე ლოკომოტივი 2)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**დინამო 2 2:1 იბერია**

0:1 კასრაძე (66), 1:1 რუხაძე (77), 2:1 ლ. ბურდული (78)
გაფრთხილება: ხიდეშელი (იბერია)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**განთიადი 2:1 ივერია**

1:0 მჭედლიშვილი (5), 2:0 ფეიქრიშვილი (73), 2:1 ხმალაძე (90)
გაფრთხილება: შერმადინი (განთიადი), წიქარიშვილი (ივერია)
გაძევება: გაბიდაური (30, განთიადი), ჯიკაევი (30, ივერია)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 9 | 8 | 0 | 1 | 29:10 | 24 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 7 | 0 | 2 | 23:12 | 21 |
| ქარელი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:8 | 19 |
| განთიადი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:13 | 17 |
| ივერია | 9 | 5 | 2 | 2 | 23:9 | 17 |
| ცხინვალი | 9 | 6 | 1 | 2 | 26:9 | 16 |
| თორი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:14 | 13 |
| საუ | 9 | 3 | 3 | 3 | 16:15 | 12 |
| ცხუმი | 9 | 3 | 1 | 5 | 9:13 | 10 |
| იბერია | 9 | 3 | 1 | 5 | 16:24 | 10 |
| მესხეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 15:24 | 7 |
| დილა 2 | 9 | 1 | 2 | 6 | 15:24 | 5 |
| ჟინერი | 9 | 1 | 1 | 7 | 9:36 | 4 |
| ვარძია | 9 | 0 | 2 | 7 | 8:28 | 2 |

*„ცხინვალს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

საქართველოს ჩემპიონატი — 3 & 11 ტური

მესამე ტურის მატჩები, „გორდა" — „დინამო", „ოდიში" — „ტორპედო" და მეთერთმეტე ტურის შეხვედრა „გურია" — „დილა", დღეს შედგება. გათამაშების ლიდერები სტუმრად ითამაშებენ. მიუხედავად მათი ფავორიტობისა, უდავოა ძალიან დაძაბული ბრძოლები გველის. ვნახოთ შეძლებენ თუ არა მასპინძელი გუნდები ღირსეულად დაუხვდნენ ჩემპიონატის ამბიციურ ლიდერებს.

# მოვდივართ და დაგვხვდითო

### ოდიში — ტორპედო

ზუგდიდი
28 ოქტომბერი
14 საათი
ცენტრალური
7 500

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ვ. პანოვი

### გორდა — დინამო

რუსთავი
28 ოქტომბერი
14 საათი
ფოლადი
10 700

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); შ. ბერიძე (ასპინძა)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

### გურია — დილა

ლანჩხუთი
28 ოქტომბერი
14 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
22 000

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დარჩია, ს. შალამბერიძე; ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

ეს შეხვედრა 22 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ ვინაიდან ტორპედოელებს, კიევში უკრაინელების წინააღმდეგ სათამაშოთ, ორი ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებში ჰყავდათ მივლინებული, ეს მატჩი ორი დღით გადაუვადეს.

24 აგვისტოს კი ზუგდიდში მატჩამდე ოთხი საათით ადრე მოწყობილი ტერორისტული აქტის გამო „ოდიში" — „ტორპედოს" პაექრობა კვლავ გადასატანი შეიქნა.

ტორპედოელებს ამ ინფორმაციამ შუა გზაში მიუსწროთ და ისინიც უკანვე გაბრუნდნენ. არადა, მაშინ ქუთაისელები აშკარად ძლიერი შემადგენლობით მიემგზავრებოდნენ ზუგდიდს და უდავო ფავორიტებად ითვლებოდნენ.

მაშინ „ოდიშის" ახლადდანიშნულმა თავკაცმა სოსო ჭედიამ განაცხადა, „ტორპედოს" ძლიერ გუნდთან გამარჯვებას ვერ შეგპირდებით, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დავთმობთო.

შემდეგი მოვლენები იმერლებისთვის სავალალოდ წარიმართა. ფინანსურმა კრიზისმა და გუნდიდან წასულმა ოთხმა ფეხბურთელმა საგრძნობლად დაასუსტა „ტორპედო". ეკონომიკურად არც ოდიშარებს ულხინთ, მაგრამ მათ თამაშს პროგრესი დაეტყო.

შარშანდელ სეზონში „ოდიშმა" ბრწყინვალე სტარტი აიღო. საევროპო ამბიციებით შეპყრობილები დაუმარცხებლად ლიდერობდნენ ჩემპიონატს და ზედიზედ 7 მატჩში გოლიც არ ჰქონდათ გაშვებული. სწორედ ამგვარი მონაცემებით ესტუმრნენ ისინი ქუთაისს და ფანების სოლიდური რაოდენობაც იახლეს.

მაშინ „ტორპედომ" ლევან ქებაძისა და დავით ჯანაშიას კარგი თამაშის წყალობით ცივი წყალი გადაასხა სტუმრებს და 4:1 მოუგო, მეორე წრეში კი ზუგდიდლებმა თავისებურად იძიეს შური ქუთათურებზე და ნულოვანი ფრეთი ოქროს ქულები დააკარგვინეს.

საერთოდ ზუგდიდში თამაში ყველა გუნდს უჭირს. „ოდიში" შინაურ მატჩებს დიდი აღმავლობით ატარებს და მეტად უხერხულ მეტოქედ ითვლება.

წლევანდელ სეზონში „ტორპედომ" აშკარად დაძლია უცხო მოედნის კომპლექსი და დღესაც შეეცდება ამის დამტკიცებას.

შაბათს კი ქუთათურებს მეტად პრინციპული შეხვედრა ელით თბილისში „დინამოსთან" და ისინი საამატჩოდ კარგი განწყობილების შექმნას შეეცდებიან, თუმცა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება მსაჯების ობიექტურ მოქმედებას. ერთმა შეცდომამ შეიძლება გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

ეს მატჩიც მესამე ტურში, 22 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმ დღეს დინამოელები „ატლეტიკთან" სათამაშოდ ბილბაოს გაეშურნენ...

იყო დრო, რუსთავში „დინამოს" ჩასვლას დიდი აჟიოტაჟი ახლდა თან. მაშინ რუსთაველები ლიდერთა მარაქაშიც ხშირად გაერეოდნენ ხოლმე და ქვეყნის უცვლელ ჩემპიონთან მათი დაპირისპირებაც გარკვეულ ინტრიგას გვპირდებოდა.

„გორდას" მთავარი საზრუნავი რჩეულთა შორის დარჩენა გახლავთ, მაგრამ ჯერჯერობით რუსთაველებს ამ მისიის შესრულებაც უჭირთ — დღეისთვის გუნდი ოდენ ერთი გამარჯვებით ბოლოდან მესამე ადგილზეა და საეჭვოა, ეს წარუმატებელი სერია დღევანდელ შეხვედრაში შეწყვიტოს. „დინამო" კი, როგორც ყოველთვის, სამი ქულისთვის იბრძოლებს, მით უფრო, რომ თბილისელებმა გასულ ტურში ორი ქულა დაკარგეს „ლოკომოტივთან" შეხვედრაში, ზურგსუკან კი „ტორპედოს" სუნთქვას გრძნობენ.

ამ შაბათს გასამართი მეთერთმეტე ტურის ეს შეხვედრა ლანჩხუთელთა თხოვნით დღეისთვის გადმოიტანეს. წინა ტურში „არსენალთან" სირცხვილნაჭამმა მშიერ-მწყურვალმა გურულებმა დროის მოგება სცადეს. ამ სამ დღეში „გურიამ" მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე მოისაკლისა და დასახმარებლად ავთო ნარიაშვილს უხმო, რომელიც შეეცდება, წლევანდელი დებიუტი გამარჯვებით აღნიშნოს, მაგრამ გორის „დილასთან" ასეთი შედეგის მიღწევა ერთობ რთული საქმეა. მით უმეტეს მაშინ, როცა ქართლელებმა მეათე ტურში პირველი მარცხი აწვნიეს გათამაშების აწ უკვე ყოფილ ლიდერს, „ტორპედოს" და მშვენიერ გუნება-განწყობილებაზე არიან.

წინა სეზონში ორჯერვე მასპინძლებმა იმარჯვეს — გორში „დილამ" 2:1, ლანჩხუთში კი პირიქით, „გურიამ" 3:2 მოიგო.

დღეს უშეღავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ. მარცხის შემთხვევაში აუტსაიდერი „გურია" პირველი ჯგუფის დატოვების ყველაზე რეალური პრეტენდენტი ხდება.



შარშანდელი „დილა" — „გურია". თამაზ ციცქიშვილი და მერაბ თევზაძე (№3)

## უდისციპლინონი

*სამგურალი* — **გაფრთხილება** (22): დ. ჭელიძე (4), ფრანგიშვილი (4), გ. თევზაძე (3), ფაიქიძე (3), თევდორაძე (2), ი. ხაჭაპურიძე (2), ლონლაძე (2), კ. ჯანაშია, სტურუა; **გაძევება** (1): ფაიქიძე

*არსენალი* — **გაფრთხილება** (20): ვ. გველესიანი (3), ყოლბაია (3), დ. კაპანაძე (3), მ. თევზაძე (2), ჩლაიძე (2), ლაცაბიძე (2), ფირცხალავა, ლომიძე, ცერცვაძე, გემეზაშვილი, ხოსროშვილი; **გაძევება** (1): ვ. გველესიანი

*ოდიში* — **გაფრთხილება** (20): ბარქაია (3), ლურწკაია (3), კიპაროიძე (3), ტყემალაძე (3), ნაყოფია (2), პ. ლურსმანაშვილი (2), ჩადუნელი (2), ჭურღულია, კ. კვეკვესკირი

*ვიტ ჯორჯია* — **გაფრთხილება** (19): გ. გვაზავა (3), ზ. მენთეშაშვილი (3), აბაზაძე (2), ზ. გვაზავა (2), ვ. გოჩაშვილი, დოლიძე, პეტრიაშვილი, ჯ. მუჯირი, კვიციანი, ი. კაპანაძე, ჭურაძე, ჭანკოტაძე, მაზიაშვილი; **გაძევება** (2): ზ. მენთეშაშვილი, დვალიშვილი

*დილა* — **გაფრთხილება** (16): კაიდარაშვილი (3), თაყაძე (2), გ. ჩიტაია (2), ციცქიშვილი (2), ხ. გაგნიძე (2), შატაკიშვილი (2), ფეზუაშვილი, ბ. ჩიტაია, ლ. გოჩაშვილი; **გაძევება** (2): ციცქიშვილი, დ. მაისურაძე

*მერანი* — **გაფრთხილება** (16): ცქიფურიშვილი (3), დანელია (3), დავითნიძე (2), ბაჯელიძე (2), მესხი (2), გ. კვეტენაძე, ივანიშვილი, ჯიშკარიანი, გეწაძე

*ლოკომოტივი* — **გაფრთხილება** (15): ბალაშვილი (3), კაციაშვილი (2), თარხნიშვილი (2), გიორგი ქორიძე, ბარნოვი, დაუშვილი, კვიტატიანი, ბაქრაძე, კოტორაშვილი, მარლიშვილი, არსოშვილი

*სიონი* — **გაფრთხილება** (15): დ. სვანიძე (2), თ. სამხარაძე (2), დ. ჯაფარიძე (2), კ. გოდერძიშვილი (2), გაგუა, პოზოიანი, გოგოლაძე, მ. სამხარაძე, ჯაგიდისი, შაკიაშვილი, ყიფშიძე; **გაძევება** (1): კ. გოდერძიშვილი

*იბერია* — **გაფრთხილება** (13): ხუჭუა (3), ნიკოლეიშვილი (2), გეგეშიძე (2), ბრეგვაძე (2), სადილიანი, მუმლაძე, დარასელია, გ. ლურსმანაშვილი

*ბათუმი* — **გაფრთხილება** (11): რუსია (4), ტულუში (2), მ. მახარაძე, გადელია, ვერემჩუკი, ყულევჯიშვილი, პაპიძე; **გაძევება** (1): პაპიძე

*ტორპედო* — **გაფრთხილება** (11): დ. ჯანაშია (4), მეგრელაძე (2), პ. ჯინჭარაძე, ყიფიანი, ჩხაიძე, იონანიძე, შეყრილაძე; **გაძევება** (1): ჩხაბერიძე

*დინამო* — **გაფრთხილება** (9): ცქიტიშვილი (3), გუჩუა (2), დიდავა (2), ალექსიძე, ლ. მიქაძე; **გაძევება** (1): გუჩუა

*თსუ* — **გაფრთხილება** (9): გ. ილურიძე (2), ცომაია (2), როსტიაშვილი (2), ზამთარაძე, ნინუა, კაკუბავა; **გაძევება** (1): გაბელია

*კოლხეთი* — **გაფრთხილება** (9): წივწივაძე (2), პაპავა (2), კაკაჩია, გვასალია, გოროზია, ღლონტი, ახვლედიანი

*გორდა* — **გაფრთხილება** (7): მჭედლიძე (2), ბექაური (2), ბურნაძე, კ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი

*გურია* — **გაფრთხილება** (7): ინიაშვილი (2), ზ. კვეკვესკირი (2), ბულუხია, გოგუა, მელაძე

საქართველოს ჩემპიონატი — 11 ტური

# ძლივს არ ვიცანით?!

ეს ცხრილზე. უფრო დაწვრილებით — მეათე ეროვნული ჩემპიონატის საფეხბურთო ცხრილზე. გადახედავ და გული გაგინათდება კაცს. ხომ გაგიგიათ, შეჩვეული ჯობსო... ჰოდა, მეთერთმეტე ტურშიღა გველირსა ჩვეული, წლების მანძილზე ნაცადი განლაგება: „დინამო“, „ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „კოლხეთი“... „ბათუმიც“ ნელ-ნელა იწევს ზევით. ერთადერთი გორის „დილა“ ეუცხოვება თვალს ლიდერთა მარაქაში, მაგრამ ეგენი ისეთი კირკეტი კაკლები ჩანან, მათგან ყველაფე... ს უნდა ველოდოთ — ლიდერობა რა გასაკვირია.

მეთერთმეტე ტურში ისვენებდა გორის „დილა“, ოღონდ არა თავისი მიზეზით, გურულების სამზარეულო პრობლემების გამო გადაიტანეს ეს მატჩი. ჰოდა, დაკარგული ქულებით ჯერაც მესამენი არიან ქართლელები.

„დინამოს“ მეორე ფრეს არ აევლება გვერდი. ღირსეული სპარინგი გაუმართა მახარაძემ და კომპანიამ მცხეთაში მარად ჩემპიონს. ვერ გაიტანეს რკინიგზელებმა, მაგრამ არც გაუშვეს, უპირატესობას კი უმეტესად თვითონ ფლობდნენ. სასიამოვნო ფაქტია, არა?! თუკი სწორად დაუდგები, ახლანდელი „დინამო“ არ არის სხვაზე ასე უსაშველოდ ათი თავით მაღლა მდგომი გუნდი. ყოველ შემთხვევაში, 8:1 და 7:2 მაგვარი ანგარიშები არ ამშვენებს ჩვენს ფეხბურთს და საშუალო გუნდების სწორი ტაქტიკით ამასაც შეიძლება მოერიოს.

ლოს „არსენალმა“ ორი ჩაწოდება გოლად აქცია და შეხვედრას ინტრიგა შეჰმატა. დასასრულს ერთხელაც შეეძლოთ კოლხებს გატანა, მაგრამ ჩლაიძემ ივარგა. ასეა თუ ისე, „კოლხეთმა“ სასტარტო ჩამორჩენა „ამოქაჩა“ და ჩვეული პოზიციაც დაიბრუნა.

ბოლო სამი ტურია უჩვეულოდ ცოტა გააქვთ ბათუმელებს. ორ უგოლო მატჩს მეთერთმეტე ტურში ერთი გატანილიღა მიაყოლეს ზღვისპირელებმა, თუმცა „სიონთან“ მოსაგებად ესეც ეყოთ. ეყოთ ეს გამარჯვება აჭარლებს სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით ასანაცვლებლადაც და ამჟამად „ბათუმი“ ერთპიროვნულად დამკვიდრდა მეექვსე ადგილზე. „სიონის“ სასიხარულოდ, ვერც „გორდამ“ და „სამგურალმა“ იხეირეს და ბოლნისელებმაც შეინარჩუნეს მეცამეტე ადგილი.

„სამგურალმა“ დებიუტშივე წააგო იმერული დერბი „ტორპედოსთან“. უკვე მეოთხე წუთისთვის ორი ბურთით დაწინაურდნენ ქუთაისლები და ბოლომდეც უპრობლემოდ მიიყვანეს მორიგი გამარჯვება.

„ტორპედოს“ ფინანსური სენი რომ შეეყარა, ორი თვეა, ვიცით, ახლა მოწვეული ფეხბურთელებიც პანტაპუნტით გაურბიან იმერელთა სიამაყეს. ისევ ადმინისტრაციული, მერიიდან მომდინარე მეთოდებით გადაუწყვეტიათ გაჭირვების მოგვარება ქუთაისელებს. შეძლებენ კი?! ვინ იცის... არადა, აფსუსი კია ამგვარი შემადგენლობის ასე უსახელოდ დაფანტვა.



„ვიტ ჯორჯია“ — „გორდა“. იყო დიდი ბრძოლა და ბევრი „მაკრატელა“

კიდევ ერთი მატჩი დამთავრდა უგოლოდ. სამტრედიელებმა ვერაფერი გააწყვეს „მერანის“ ორგანიზებულ დაცვასთან. ტრანსპორტელები თავის მხრივ იმგვარად იკბინებოდნენ, არაერთხელ შეუქანდათ გული „იბერიას“ გულშემატკივრებს. ჯერ მეთერთმეტე ტურია და „მერანმა“ უკვე მეექვსე ფრე გაახერხა („ლოკომოტივისა“ არ იყოს), თავისუფლად შეიძლება სერგო გაბელაიას აღსაზრდელებს მებრძოლი, მაგრამ მაინც მშვიდობიანი გუნდის წოდება მიენიჭოს. ერთიცაა, „მერანის“ ნორმალურ კლასს გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაც გვიჩვენებს, უარყოფით ბალანსს კი ძირითადად „დინამოსთან“ 5:1-ზე წაგებული შეხვედრა განსაზღვრავს. „იბერიას“ რაც შეეხება, ძუკუს წასვლით ბევრი მოაკლდა იმერელთა კომბინაციურ მრავალფეროვნებას და ახლა ისინი ერთფეროვანი, მეტოქის მცველთა ზურგს უკან მიმართული გადაცემებით აპირებენ ფონს გასვლას.

კოლხებმა არმიელებს აართვეს სამი ქულა. წივწივაძემაც მორიგი შეაგდო და ახლა ორბურთიანი ფორით ლიდერობს მეგოლეთა მარაქას. თავიდან სამი მშრალი ბურთით წაიყვანეს ფოთელებმა შეხვედრა, მაგრამ მეორე ტაიმის ბო-

ქულა გაიყვეს „ოდიშმა“ და თსუ-მ. მათი შეხვედრა თავიდან ბოლომდე წყნარ კალაპოტში წარიმართა, სახიფათო მომენტები კი მეტად იშვიათად იქმნებოდა. სტუდენტები გაშვებული გოლის მერეღა შეჩოჩქოლდნენ და მატჩიც დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გადაარჩინეს. გაბელიას გუნდს პროგრესი აშკარად ეტყობა, თსუ ცხრილის ფსკერიდან ნელ-ნელა მიიწევს მაღლა და მაჩანჩალა ოთხეულთან უკვე ორ და სამქულიანი ფორაც შეიქმნა. „ოდიშიც“, თავის მხრივ, მეათე ეროვნულში უფრო ცხრილის შუაგულში დამკვიდრდა და პრობლემებიდან გამომდინარე გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეინარჩუნებს „ადგილს მზის ქვეშ“.

ვეტერინარებმა „გორდა“ იმსხვერპლეს. ლომის წილი გამარჯვებაში გრიგოლ გვაზავამ დაიდო, მისი მაკრატელა კი იმას ჰგავს, გვირაბის ბოლოს შუქი რომ ჩნდება-ხოლმე. ასეთი გოლების შემხედვარეს ზოგჯერ გავიწყდება კიდეც კაცს, რა დღეშია ჩვენი ფეხბურთი.

მაშ ასე, მეთერთმეტე ტური, შვიდი ჩატარებული და ერთი გადადებული შეხვედრა. 15 გატანილი გოლი, 8 ყვითელი ბარათი და არც ერთი სკანდალი. ესეც ხომ საქმეა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

---

მცხეთა
24 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

## ლოკომოტივი 0:0 დინამო

**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, მარლიშვილი (კოტორაშვილი 82), კ. მელქაძე, დაუშვილი, დ. გოდერძიშვილი (ნ. მინდიაშვილი 88), გ. ლუდუშაური (კაციაშვილი 46)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, ხორგუაშვილი, მ. მინდიაშვილი, გიორგი ქორიძე
**დინამო:** გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი, გუჩუა, კიკნაძე, ლ. მიქაძე, აშვეთია, ზ. არჩვაძე, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, გ. კვარაცხელია, ქემოკლიძე, ა. სახვაძე, რუხაძე, გ. მიქაძე
**გაფრთხილება:** არსოშვილი (72), მიქაძე (81)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; გ. მგელაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

ქუთაისი
24 ოქტომბერი
16 საათი
გივი კილაძე
2 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 3:1 სამგურალი

1:0 მეგრელაძე (2), 2:0 იონანიძე (4), 3:0 მეგრელაძე (54), 3:1 ჯინჭარაძე (57)
**ტორპედო:** ჭანტურია, შეყრილაძე, ჩხაბერიძე (თურმანიძე 46), მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე 70), დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე, ქებაძე
*სათადარიგო:* მამარდაშვილი
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, ჯავახაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, დ. ჭელიძე (დარსაძე 53), მახვილაძე, ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე (ზ. ქუთათელაძე 72), თევდორაძე (ფილიპაშვილი 72), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ი. ხაჭაპურიძე, გ. თევზაძე, ლონლაძე
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. სამხარაძე (სოხუმი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კობერიძე

მცხეთა
25 ოქტომბერი
15 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:1 გორდა

1:0 გ. გვაზავა (28), 1:1 ლ. ალადაშვილი (41), 2:1 ზ. გვაზავა (72)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ვ. მაისურაძე, ჯ. მუჯირი, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 60), აბაზაძე, ზ. გვაზავა, მაზიაშვილი, ლ. ნოზაძე, თ. ბოკერია (ლამბაშიძე 72), გ. გვაზავა (ვ. გოჩაშვილი 80)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, კვიციანი, ჭოხონელიძე, ა. ბოკერია
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, ლ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი, ზირაქაძე (ქოიავა 46), გაბელაია, ჩუხუა, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, ჩოხელი, რაზმაძე, სულაშვილი, შ. კაპანაძე
**გაფრთხილება:** აბაზაძე (48), მაზიაშვილი (87)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე, ს. შალამბერიძე, ა. ქარქაშაძე; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** თ. ფანიაშვილი

ზუგდიდი
24 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 1:1 თსუ

1:0 თოლორდავა (55), 1:1 კობიაშვილი (85)
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე, ტყემალაძე (მებონია 63), ტაბალუა, იოსავა (თოლორაია 46), აკობია, მარკოზია, თოლორდავა, კუტალია
*სათადარიგონი:* ივარდავა, ჯოჯუა, ცაცუა
**თსუ:** გაბელია, ილურიძე, ვ. ლუდუშაური, თ. კობიაშვილი, ბახტაძე, ცომაია, დ. კაკუბავა, მაღრაძე (კ. სვანიძე 89), წიტაიშვილი (ებრალიძე 46), ჭუმბურიძე (ნინუა 87), როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, სულაძე, ინწკირველი, ბუკია
**მსაჯები:** თ. მაჭარაძე (ხონი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. იაშვილი

სამტრედია
24 ოქტომბერი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

## იბერია 0:0 მერანი

**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი (ლორთქიფანიძე 81), ქობესაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, თოდუა (გ. ჭელიძე 60), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, ივეჩიანი, მუმლაძე (ვარდიაშვილი 46)
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, სადილიანი, ფხაკაძე, მიქელთაძე
**მერანი:** ნაჭყეპია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (ცქიფურიშვილი 88), გელა ქორიძე, ბაჯელიძე (ჯიშკარიანი 89), გ. კვეტენაძე, ხუციშვილი (მესხი 90), ხარებავა
*სათადარიგონი:* ლომაია, ჭინჭარაული, ე. ალადაშვილი
**გაფრთხილება:** ბაჯელიძე (57)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ვ. ჩოჩიშვილი, ა. მეშკოვი; ზ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

ფოთი
24 ოქტომბერი
16 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 10 000)

## კოლხეთი 3:2 არსენალი

1:0 წივწივაძე (7), 2:0 გაბისონია (19), 3:0 კალანდაძე (53), 3:1 კაკაშვილი (75), 3:2 ტარიელაშვილი (82)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, ქუნთელია (გოროზია 73), ახვლედიანი, შალამბერიძე, ლალანიძე (ქუტიძე 83), კალანდაძე, სუხიაშვილი, გვასალია, წივწივაძე, გაბისონია (გიორგობიანი 52), მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ტორჩინავა, კრასოვსკი, ბაჩილავა
**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა, დ. კაპანაძე, ვ. გველესიანი (კაკაშვილი 52), ქიქავა (მ. მაისურაძე 46), ლაცაბიძე, ყოლბაია, ლომიძე (კორლალიძე 68), ტარიელაშვილი, ხოსროშვილი, ზირაქიშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, გ. სულაძე, ყუფარაძე
**გაფრთხილება:** კაპანაძე (52)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. ორდენიძე (ონი), ლ. რაზმაძე (გორი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

ბათუმი
25 ოქტომბერი
15 საათი
დინამო
1 000 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 1:0 სიონი

1:0 მაჭუტაძე (37)
**ბათუმი:** მალაყმაძე, პაპიძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, კანტიძე, გადელია, აფხაზავა, ტუღუში, მაჭუტაძე, რუსია
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, ფუტკარაძე, ვერემჩუკი, მაქაცარია, ყულეჯიშვილი, რომანაძე, ნადირაძე
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, გაგუა (ქობელაშვილი 84), მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე (დ. სვანიძე 46), მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, ჯაგიდისი (დ. ჯაფარიძე 46), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი, ზ. მეტრეველი, ე. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** ყიფშიძე (8), გოდერძიშვილი (13), რუსია (43), პაპიძე (57)
**გაძევება:** გოდერძიშვილი (36)
**მსაჯები:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მელაშვილი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 | წივწივაძე | კოლხეთი |
| 8 | აშვეთია | დინამო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | ხომერიკი | დინამო |
| 6 | კაიდარაშვილი | დილა |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| | ტუღუში | ბათუმი |
| | გ. შენგელია | დინამო |
| 5 | ვ. გიგიაძე | იბერია |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | ფაიქიძე | სამგურალი |
| | ჩომახიძე | იბერია |
| | ცქიტიშვილი | დინამო |
| 4 | გ. გვაზავა | ვიტ ჯორჯია |
| | გვასალია | კოლხეთი |
| | დ. გოდერძიშვილი | ლოკომოტივი |
| | ენდელაძე | ოდიში |
| | ივეჩიანი | იბერია |
| | დ. მახარაძე | გურია |
| | მარეხაშვილი | დილა |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |

### სიმბოლური ნაკრები

- გრიგოლ გვაზავა — ვიტ ჯორჯია
- გია მეგრელაძე — ტორპედო
- დავით ჯანაშია — ტორპედო
- აკაკი კაკაშვილი — არსენალი
- პაატა ბარნოვი — ლოკომოტივი
- გიორგი კვეტენაძე — მერანი
- ბადრი ახვლედიანი — კოლხეთი
- გივი დიდავა — დინამო
- დიმიტრი არსოშვილი — ლოკომოტივი
- ზურაბ მენთეშაშვილი — ვიტ ჯორჯია
- დავით ჯანელიძე — ლოკომოტივი

გუნდი ლოკომოტივი

მწვრთნელი თემურ მახარაძე ლოკომოტივი

| № | # | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 1 | 9 | 7 | 2 | 0 | 35:7 | +28 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 26:6 | +20 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | +8 | 10 |
| 2 ტორპედო (4) | 3 | 10 | 7 | 2 | 1 | 26:11 | +15 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 18:5 | +13 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | +2 | 10 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 4 | 11 | 5 | 6 | 0 | 15:5 | +10 | 21 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | +4 | 9 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:4 | +6 | 12 |
| 4 დილა (9) | 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 14:7 | +7 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | +6 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | +1 | 8 |
| 5 კოლხეთი (3) | 5 | 10 | 6 | 2 | 2 | 23:13 | +10 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 17:4 | +13 | 16 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 6 ბათუმი (2) | 7 | 11 | 4 | 5 | 2 | 18:10 | +8 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | +9 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 7 იბერია (დ) | 6 | 11 | 5 | 1 | 5 | 22:25 | -3 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | +6 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 10:19 | -9 | 6 |
| 8 ვიტ ჯორჯია (10) | 10 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 0 | 14 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 8 |
| 9 ოდიში (5) | 8 | 10 | 4 | 1 | 5 | 7:13 | -6 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 |
| 10 არსენალი (დ) | 9 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:20 | -7 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | -6 | 7 |
| 11 მერანი (7) | 11 | 11 | 2 | 6 | 3 | 7:11 | -4 | 12 | 6 | 1 | 4 | 1 | 2:2 | 0 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 5 |
| 12 თსუ (8) | 12 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | -6 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |
| 13 სიონი (13) | 13 | 11 | 2 | 2 | 7 | 11:26 | -15 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | -15 | 0 |
| 14 გორდა (11) | 14 | 10 | 1 | 5 | 4 | 6:8 | -2 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | +1 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 |
| 15 სამგურალი (12) | 15 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:26 | -17 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:20 | -15 | 1 |
| 16 გურია (14) | 16 | 10 | 2 | 1 | 7 | 9:27 | -18 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:21 | -17 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

# კანტატორე კლემენტემ შეცვალა

მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, როგორც ყველგან, ესპანეთშიც გულშემატკივრები ბევრს ბჭობდნენ, თუ რა მოხდება წლეულს ჩემპიონატში, ვინ გაიმარჯვებს, ვინ გავარდება, ვინ ევროტურნირების საგზურს მოიპოვებს და პროგნოზებსაც უხვად აფრქვევდნენ. პირველობისთვის მებრძოლ გუნდებს შორის, ბუნებრივია, ორი კლუბი ფიგურირებდა — მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“, ხოლო დანარჩენები მათ ხელშემშლელებად თუ ითვლებოდნენ. ამ უკანასკნელთა რიგებში კი, გულშემატკივართა აზრით, მიმდინარე სეზონში სევილიური „ბეტისი“ გამოიჩენდა თავს. ამის თქმის უფლებას მათ კლუბის ორი ახალი შენაძენი — ბრაზილიელი გარემარბი დენილსონი და ესპანური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ბენჯამინ ზარანდონა აძლევდათ, რომლებშიც „ბეტისის“ პრეზიდენტმა მანუელ რუის დე ლოპერამ 45 (!) მილიონი დოლარი გადაიხადა. თანაც ამ ორ მოთამაშეს კლუბში უკვე ელოდნენ ისეთი მაღალი დონის შემსრულებლები, როგორებიც არიან ნიგერიელი ჯორჯ ფინიდი და ალფონსო პერესი. ერთადერთი პრობლემა, რომელიც სევილიელებს და დე ლოპერას აწუხებდათ, გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო.



ერთ დროს ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი გაუბედურებულ „ბეტისს“ ჩაუდგა სათავეში

მიმდინარე წლის აგვისტოში „ბეტისის“ თავკაცის თანამდებობა გამოცდილმა ლუის არაგონესმა დატოვა, ვინც ეს გადაწყვეტილება პირადი მიზეზებით ახსნა. ვეტერანი მწვრთნელი ანტონიო ოლივეირამ შეცვალა, მაგრამ მანაც სულ მალე, 23 დღეში, სამუშაოს გაგრძელებაზე უარი განაცხადა. მიზეზი — ფეხბურთელთა შერჩევისას გუნდის პრეზიდენტთან მომხდარი კონფლიქტი.

„ბეტისი“ კვლავ უმწვრთნელოდ დარჩა. არადა, სეზონი უკვე კარს იყო მომდგარი და დე ლოპერამაც თვალი ჩილელ ვისენტე კანტატორეს დაადგა, რომელიც ბოლოს პორტუგალიურ „სპორტინგს“ ედგა სათავეში, ესპანურ კლუბს კი ერთხელ წვრთნიდა — „ვალიადოლიდის“ თავკაცი იყო. მოკლედ, ესპანეთის პრიმერა დივიზიონის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე „ბეტისს“ ახალი კაცი, კანტატორე ჩაუდგა სათავეში.

ესპანელ, განსაკუთრებით კი სევილიელ ქომაგებს და ფეხბურთის სპეციალისტებს „ბეტისის“ იმედი რომ ჰქონდათ, უკვე მოგახსენეთ, მაგრამ ის ადგილი, რომელზეც დღესდღეობით გუნდი იმყოფება, მათ, ალბათ, ყველაზე კოშმარულ ფიქრებშიც კი არ გაუვლიათ — „ბეტისი“ ბოლო, მე-20 ადგილზე იმყოფება! ეს კი არავის, მით უმეტეს დე ლოპერას ხელს არ აძლევს და აი, ჩემპიონატის მე-7 ტურში „ვალენსიასთან“ 1:5 განადგურების შემდეგ კანტატორე სამუშაოს გამოემშვიდობა.

— მატჩის მერე იგი მესაუბრა და მითხრა, რომ არსებული ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალი მისი კლუბიდან წასვლა და ახალი მწვრთნელის მოძებნაა. კანტატორეს ამ გადაწყვეტილებამ ცოტა არ იყოს გამაკვირვა, რადგან მას ბოლომდე მებრძოლ, შეუპოვარ ადამიანად ვთვლიდი, თუმცა რას იზამ, ყველას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება — „ბეტისის“ პრეზიდენტი მეტად უხასიათოდ იყო.

ასეა თუ ისე, სევილიური კლუბი ორშაბათს კვლავ უმწვრთნელოდ დარჩა. კვლავ გაჩაღდა ახალი სპეციალისტის ძიება და ორი კანდიდატურაც გამოიკვეთა — სერა ფერერი და სულ ახლო წარსულში ესპანეთის ნაკრების ბასკი თავკაცი ხავიერ კლემენტე.

გუშინ მანუელ რუის დე ლოპერამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ბეტისს“ ამიერიდან სწორედ კლემენტე გაწვრთნის, კაცი, რომლის მეთაურობითაც ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა საყოველთაოდ შეირცხვინა თავი — ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდა ჯგუფიდან, ხოლო შემდეგ ევრო 2000-ის შესარჩევ ტურნირში უსახურ კვიპროსთან დამარცხდა 2:3, რისთვისაც ხავიერი უმუშევარი დარჩა.

არაგონესმა, ოლივეირამ და კანტატორემ „ბეტისს“ ვერაფერი მოუხერხეს. რას იზამს კლემენტე?

ნოდარ ძასრაძე

# ფინალი «დე კუიპზე»

სამშაბათს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის პირველი ოფიციალური პრესკონფერენცია გაიმართა — როტერდამში ტურნირის ერთ-ერთი მასპინძლის, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა იუ სპრინგერსმა ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა.

პირველი და უმნიშვნელოვანესი რამ, რაც პრესკონფერენციაზე გაირკვა, ის გახლავთ, რომ კონტინენტის რიგით მეთერთმეტე ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი როტერდამში, „ფეიენოორდის“ სარბიელ „დე კუიპზე“ გაიმართება 2000 წლის 2 ივლისს.

მაშ, ამსტერდამის „ამსტერდამ არენამ“ რა ქნას? „აიაქსის“ სტადიონი ერთ-ერთ ნახევარფინალს უმასპინძლებს ბრიუსელის „მეფე ბუდევინთან“ ერთად. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ამჯობინეს „დე კუიპი“ „ამსტერდამ არენას“, ეს ფინანსური მოსაზრებების გამო მოხდა.

ერთი სიტყვით, ფინალი როტერდამშია!




REUTERS როტერდამიდან

იუ სპრინგერსმა როტერდამელთათვის სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა. ფინალი „დე კუიპზე“

# ოჰ, ლირი ლიდსში

— ვიცი, მძიმე ხამუშაოა, მაგრამ ვეცდები, თავი გავართვა. კლუბის კეთილდღეობა, ისევე, როგორც „ლიდსის“ თავკაცების, ჩემს ინტერესშიც შედის — განაცხადა დევიდ ო'ლირიმ, „ლიდს იუნაიტედის“ ახალმა მწვრთნელმა.

ორშაბათს ლიდსელთა პრეზიდენტთან პიტერ რედსდეილთან საათნახევრიანი საუბრის შემდეგ 40 წლის ო'ლირი მწვრთნელობას დაყაბულდა. ირლანდიის ნაკრების და „არსენალის“ ყოფილმა მცველმა ლიდსელებთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის განმავლობაშიც მილიონ დოლარს მიიღებს.

— მიხარია, რომ დევიდი დაგვთანხმდა. ჩემი აზრით, მან უნდა შეძლოს კლუბის ფეხზე დაყენება, ვიცი მისი შესაძლებლობები და მწამს, კლუბის საქმე მის ხელში წინ წავა — თქვა რედსდეილმა.

ცნობისთვის: დევიდ ო'ლირის მწვრთნელად აქამდე არსად უმუშავია.

# ხოსეპის დაბრუნება

— ხოსეპ გვარდიოლა ნოემბრის ბოლოს დაუბრუნდება ფეხბურთს! — განაცხადა „ბარსელონას“ დირექტორმა ხოსეპ ბორელმა. 28 ნოემბერს კატალონიელები მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობენ. გვარდიოლას გამოჩენასაც სწორედ მაშინ ვარაუდობენ.

1997 წლის აგვისტო 26 წლის გვარდიოლასთვის უიღბლო გამოდგა — ბარსელონელმა მარცხენა ფეხის მყესები დაიზიანა, კარგა ხანს ბურთს ვერ ეკარებოდა, მერე სცადა ფეხბურთში დაბრუნება — არაფერი გამოუვიდა. უშედეგო ცდა ხუთჯერ განმეორდა, წლეულს, ივნისში კი ესპანელი ნახევარმცველი ფინეთს ეწვია კარიერის გადასარჩენად. მას ისეთი ტრავმა აღმოაჩნდა, ფეხბურთელებს იშვიათად რომ აქვთ ხოლმე. გვარდიოლამაც არც აცია, არც აცხელა და მყესები გადაინერგა. მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

— ვარჯიშს ორ კვირაში დაიწყებს,



მანამდე კი ფიზიოთერაპიით მოუწევს დაკმაყოფილება. მისი ჯანმრთელობა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. მალე, ალბათ, ითამაშებს კიდეც — ეს სიტყვები გვარდიოლას სეხნია ბორელს ეკუთვნის.

ნიჭიერ ფეხბურთელს დიდი იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებდა, მაგრამ ავბედითმა ტრავმამ ამის საშუალება არ მისცა.

# ჩუმი, ძალიან წყნარი

[1]6 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც პოლ გესქოინი საავადმყოფოში დააწვინეს. გაზა არაფერს უჩიოდა და არა იმიტომ, რომ არაფერი სტკიოდა, უბრალოდ, ჩივილის თავიც არ ჰქონდა. შეიძლება ვერც გრძნობდა, რომ უფსკრულისკენ მიექანებოდა. იმკურნალა, სარეაბილიტაციო კურსი გაიარა და ორშაბათს თანაკლუბელებთან ერთად ივარჯიშა კიდეც, უფრო სწორად, წაივარჯიშა. იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ განკურნებულა.

— თავს კარგად ვგრძნობ. ახლა ჩემი მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე აქ მოსვლამდე. მალე ვარჯიშსაც დავიწყებ და იმედია, ავთამაშდები კიდეც. ვნანობ, რომ თავი ასეთ მდგომარეობაში ჩავიგდე. ყველაფერში თავად ვარ დამნაშავე. პასუხი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოვთხოვო და სხვა არავის — განაცხადა პოლ გესქოინმა გუშინ პრესკონფერენციაზე, სადაც იგი „მიდლსბროს“ მწვრთნელ ბრაიან რობსონთან ერთად მისულიყო.

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და „მანჩესტერიუნაიტედელი ბრაიან რობსონი გესქოინს მუდამ გვერდში ედგა. საავადმყოფოშიც არ მოშორებია გაზას.

— ჩემი აზრით, პოლის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. მართალია, ჯერჯერობით მისი კონდიციები თამაშის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ იმედი მაქვს, გაზა მუხლჩაუხრელი შრომით საწადელს მიაღწევს. მალე, როგორც კი გესქოინი კლუბში დაბრუნდება, მას ცალკე ვავარჯიშებ, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ კი კლუბს შეუერთდება და მთელი დატვირთვით მოემზადება — რობსონს გაზაზე ბევრი უფიქრია.

სანამ რობსონი ჟურნალისტებს ესაუბრებოდა, პოლ გესქოინი წყნარად იჯდა, მერე კი, როდესაც მისი ჯერი დადგა, თავადაც გასცა პასუხი რამდენიმე კითხვას, თუმცა სიტყვაძუნწობდა. რომ ჰკითხეს, კიდევ თუ დალევო, არაო — უპასუხა. ალკოჰოლიზმისგან თუ განიკურნეო, დიახ — იყო პასუხი. ფეხბურთში სერიოზულად თუ აპირებ დაბრუნებასო, ამაზეც „ჰო“ თქვა. გაზამ უარყო ხმები, თითქოს მას ლოთობის გამო მეგობრები დაშორდნენ.

— ძალიან მინდა, ნაკრებში დავბრუნდე. ეს ჩემი ოცნება გახლავთ, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. ჩემი უპირველესი მიზანი კვლავ „მიდლსბროს“ ძირითადში დამკვიდრებაა. სხვა ყველაფერი მერე იქნება. სწორედ მერე გამოჩნდება ნაკრებში დაბრუნების პრეტენზიაც — განაცხადა გაზამ.

...ორიოდ კვირის წინ პოლ გესქოინი



REUTERS მიდლსბროდან

პოლ გესქოინი

სულ სხვაგვარ ცხოვრებას ეწეოდა — სვამდა, მეტიც, ლოთობდა, გაუთავებლად ჩხუბობდა, აღარ ვარჯიშობდა. შემდეგ დეპრესიაში ჩავარდა, ალკოჰოლიზმით დაავადდა და კლინიკაში ამოჰყო თავი. ახლა სულ სხვა პოლ გესქოინი წარდგა ინგლისელების წინაშე — თვინიერი და ჩუმი, ისეთი, როგორიც არასდროს ყოფილა.

ირაკლი ილუშვილი

# შემოდგომის მეორე გაელვება

იტალიაში სკანდალების შემოდგომამ დაისადგურა. დოპინგსა და კრეატინის თაობაზე ატეხილი ვაი-უშველებელი არ ჩაწყნარებულიყო, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბავი რომ ამოტივტივდა — საქმე მსაჯის მოქრთამვის მცდელობას ეხება.

სერია A-ს ბოლო, მეექვსე ტურში გენუის „სამპდორია“ ლიგის დებიუტანტ „ემპოლის“ მასპინძლობს. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ამ შეხვედრის მსაჯად დანიშნული სტეფანო ფარინა თამაშის დელეგატს აცნობებს, რომ სტუმრები მის მოქრთამვას ლამობენ. ფარინა სათადარიგო არბიტრმა პიერო ჩეკარინიმ შეცვალა. თამაშიც ჩვეულებრივად, ყოველგვარი გართულებების გარეშე წარიმართა. მასპინძლებმა მეტოქე გაანადგურეს, თუმცა ყველაზე საინტერესო ამბები სწორედ შეხვედრის შემდგომ დატრიალდა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა, რომელიც გენუაში მატჩის დელეგატად იყო მივლინებული, ამბავი სადისციპლინო კომიტეტს აცნობა და უმალ დაიწყო საქმის გამოძიება. ფეხბურთის ფედერაციაში ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად შეიკრიბნენ მსაჯი სტეფანო ფარინა, „ემპოლის“ პრეზიდენტი ფაბრიციო კორსი, პატარა ქალაქის კასტელეტო დორბას მერი ლორენცო რეპეტო, „ემპოლის“ გენერალური დირექტორი ფაბრიციო ლუკეზი, „სამპდორიას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი და საქმეში ჩახედული რამდენიმე პირი.

გამოძიება დაიწყო.

თავდაპირველად სკანდალის მთავარი მოქმედი პირი, მსაჯი სტეფანო ფარინა დაიკითხა.

— მატჩამდე ცოტა ხნით ადრე ჩემთან მოვიდა ლორენცო რეპეტო, ქალაქ კასტელეტო დორბას მერი, თავი „ემპოლის“ პრეზიდენტის, ფაბრიციო კორსის მეგობრად გამაცნო და მთხოვა, „სამპდორიასთან“ სტუმრებს დავხმარებოდი. ამის შესახებ უმალვე ვაცნობე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელს. მე რეპეტოს თხოვნა მოქრთამვის მცდელობად მივიჩნიე და ასე სწორედ ამიტომ მოვიქეცი.

ფარინა ექვმიტანილმა მერმა ლორენცო რეპეტომ შეცვალა.

— ასეთ უნამუსობას არ ჩავიდენდი და მით უმეტეს, სხვას საქმეს არ გავუფუჭებდი. მატჩამდე სტეფანო ფარინას მართლაც ვესაუბრე, თუმცა მან ჩემი თხოვნა სულ სხვაგვარად გაიგო. მე კი სულ სხვა რამ ვუთხარი, ვთხოვე, რომ მატჩის მიმდინარეობაში ხელი არ შეეშალა და შეძლებისდაგვარად დაძაბულად წარმოეჩინა თამაში. ეს იყო და ეს. სხვა რამე ფარინასთვის არ მითხოვია.

მოგვიანებით სიტყვა ითხოვა მომხდარით შეძრწუნებულმა „ემპოლის“ პრეზიდენტმა, ფაბრიციო კორსიმ.

— ეს ამბავი შეთითხნილია, ყველაფერი აბსურდია, სისულელეა. მომხდარმა ძალიან, ძალიან გამაბრაზა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს „ემპოლის“ ვილაცეები გადაემტერნენ. რაც შეეხება ჩემს და ლორენცო რეპეტოს მეგობრობას, აქ არ შეიძლება ამაზე საუბარი, რადგან მე და იგი მხოლოდ და მხოლოდ ბიზნეს-პარტნიორები ვართ. სხვა ჩვენ არაფერი გვაკავშირებს. ბოლოს კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ რაც მოხდა, ყველაფერი აბსურდია. კლუბი მუდამ ნამდვილი ბრძოლის და ჭეშმარიტი ფეხბურთის მომხრეა. მართალია „ემპოლი“ ახლა არაა ძლიერი კლუბი, მაგრამ სხვის დახმარებას მაინც არ საჭიროებს.

ასეთივე განაწყენებული გახლდათ ბრალდებულთა გენერალური დირექტორი, ფაბრიციო ლუკეზი.

— არ ვიცი, ვიტირო თუ ვიცინო. რაც „ემპოლში“ ვმუშაობ, ასეთ გაურკვევლობაში არასდროს მოვხვედრილვარ. ბრალს გვდებენ, მაგრამ კონკრეტულად არაფერი აქვთ საქთმელი. ამბობენ, რომ ფარინას მოქრთამვა ვცადეთ, მაგრამ გადაჭრით ვერ გვიმტკიცებენ დანაშაულს. გაუგებრობაა, ძალიან დიდი გაუგებრობა.

გამოძიების პირველ სხდომაზე აზრის გამოთქმა „ემპოლის“ მძლეველი „სამპდორიას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმაც ითხოვა, რომელიც ხუთი წლის მანძილზე, 1993-98 წლებში სწორედ „ემპოლის“ წვრთნიდა.

— ვერ გეტყვით, რა მოხდა მსაჯთან მიმართებაში, მაგრამ იმაში შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ემპოლელთა გუნდის ხელმძღვანელობა მსგავს შავ საქმეში არ გაერეოდა. წლების მანძილზე ვმუშაობდი „ემპოლიში“ და კლუბის დირექტორატს კარგად ვიცნობ. ღრმად ვარ დარწმუნებული, აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. ჩემი აზრით, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

მართლაც ძალიან ჭირს მტყუან-მართლის დადგენა, თუმცა საქმე ამით არ დასრულებულა. ვისაც ეხება მისი ბოლომდე მიყვანა, დაასრულებს კიდეც. ისე კი, გაუგებრობის თუ დაუდევრობის გამო „ემპოლი“ შეიძლება ძალიან მკაცრად დაისაჯოს — მსგავს დანაშაულებზე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი კლუბებს სერია A-დან ქვედა ლიგებში აქვეითებს, ხანდახან კი მხოლოდ დიდი საჯარიმო თანხის გადახდით კმაყოფილდება.

„ემპოლის“ საქმეს მალე განიხილავენ.

ირაკლი ილუშვილი

# პრეზიდენტობიდან ვიცე-პრეზიდენტობამდე

შაბათს გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა გაიმართა, თუმცა ორგანიზაციის პრეზიდენტი იგივე დარჩა — ეგიდიუს ბრაუნი. მას ნაკრების მწვრთნელად ერიხ რიბეკის დანიშვნის გამო ძალიან აკრიტიკებდნენ, მაგრამ კიდევ სამი წლით აირჩიეს პრეზიდენტად.

თუ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი არ შეცვლილა, ვიცე-პრეზიდენტი ახალია — ფრანც ბეკენბაუერი ქვეყნის ფეხბურთში მეორე კაცად იქცა.

— კარგა ხანია, ფედერაციაში აღარ მიმუშავია. მართალი გითხრათ, აქ საქმიანობა მომენატრა კიდეც. დღესდღეობით ვთვლი, რომ შე...ევს ძალა, ჩვენს ფეხბურთში სასიკეთო ძვრები მოვახდინო. — ალბათ, თქვენც ამასვე ფიქრობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ვერ გავხდებოდი — განუცხადა 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულმა ამომრჩევლებს. 203 დელეგატიდან მას მხარი 185-მა დაუჭირა, 16-მა ბეკენბაუერის ვიცე-პრეზიდენტობაზე უარი განაცხადა, ორმა თავი შეიკავა.

თანამდებობაზე არჩევისთანავე ბეკენბაუერმა ქვეყნის ფეხბურთში მოღვაწე ხალხს თანადგომისა და ერთიანობისკენ მოუწოდა:

— პირველი და მეორე ბუნდესლიგის კლუბების ურთიერთობები გაცილებით უნდა გაღრმავდეს. დღესდღეობით ჩვენ 36 დამოუკიდებელი ორგანიზაცია გვყავს (თითო ბუნდესლიგაში 18-18 კლუბია). არადა, ერთი, მონოლითური კორპორაცია უნდა შევქმნათ. ჩემი აზრით, ბუნდესლიგას საკუთარი ხელმძღვანელობა უნდა ჰყავდეს და ბუნდესლიგაში უფრო ბევრი ფული ჩადოს, ვიდრე ახლა. ამ ნაბიჯით ქვეყნის კლუბებიც იხეირებენ და მთლიანად გერმანული ფეხბურთიც.

სხვადასხვა ახალი აზრისა და წინადადების დანერგვასთან ერთად ფრანც ბეკენბაუერს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ ევალება. კაცმა რომ თქვას, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მისი არჩევაც სწორედ ამიტომ მოხდა — 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის გამო გერმანიასა და ინგლისს შორის დიდი ამბავია ატეხილი. უკან დახევა არავის სურს.

გერმანელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ბეკენბაუერის ავტორიტეტი დიდ როლს ითამაშებს, რათა 2006 წლის ფეხბურთის უპირველესი ტურნირი გერმანიაში ჩატარდეს.

— ახლა ფრანც ბეკენბაუერი ქვეყნის ფეხბურთის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ჩვენ გავეცანით მის გეგმას და უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ ბევრი, ცხადია, სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი ქვეყნის ფეხბურთში. ბეკენბაუერისგან ძალიან ბევრს მოველით, იგი საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნებაა. ფეხბურთიც შესანიშნავად ესმის, რაც გვაიმედებს, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლების არჩევისას მისი ფაქტორი ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედებს — ეგიდიუს ბრაუნმა ბეკენბაუერის ვიცე-პრეზიდენტად არჩევა კარგ და დროულ ნაბიჯად მიიჩნია. სხვათა შორის, მესამე ვადით არჩეულმა ბრაუნმა, რომელსაც მხარი უკლებლივ ყველა, 203-ივე დელეგატმა დაუჭირა, განაცხადა, რომ მომდევნო სამი წელი მისი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციაში მოღვაწეობის უკანასკნელი ვადა იქნება. 73 წლის ეგიდიუს ბრაუნი შემდეგ არჩევნებში კენჭს აღარ იყრის.



REUTERS ვისბადენიდან

ეგიდიუს ბრაუნი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დარჩა, ფრანც ბეკენბაუერი კი ქვეყნის საფეხბურთო სამყაროში მეორე კაცად იქცა

იმავე ყრილობაზე გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ახალი წესი დაადგინა, რომლის მიხედვითაც კლუბებს საშუალება მიეცათ, სააქციო საზოგადოებებად იქცნენ. ახალი წესი, ცხადია, გუნდებისთვის სასარგებლო უნდა იყოს — ინგლისში ამ წესის დახმარებით „მანჩესტერ იუნაიტედმა", „არსენალმა" და მისთანებმა მილიონები იშოვეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელოვანი კლუბები არც გერმანიაში დაიკარგებიან.

სააქციო საზოგადოებად ქცევის თაობაზე მიუნხენის „ბაიერნი" და დორტმუნდის „ბორუსია" ადრეც ბჭობდნენ და წესის მიღებასაც ძალიან მოითხოვდნენ, თუმცა ახლა, როცა მათი სურვილი ასრულდა, ხმა არ ამოუღიათ. ერთი ლევერკუზენის „ბაიერმა" განიზრახა სააქციო საზოგადოებად ქცევა. მას მხარი მიუნხენის კლუბმა „მიუნხენ 1860"-მაც დაუჭირა.

...რაც შეეხება იმას, თუ როდის გაირკვევა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ბედი, მანამდე ორი წელია დარჩენილი, უფრო სწორად ორ წელიწადზე ნაკლები — მასპინძელი 2000 წლის მარტში გაირკვევა.

**ირაკლი ილაშვილი**

# რავანელიც დაიკითხა

ფაბრიციო რავანელი, რომელიც ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს და მარსელის „ოლიმპიკის" ღირსებას იცავს, პროკურორმა რაფაელე გუარინიელომ დაკითხვაზე გამოიძახა. ფეხბურთელსაც სხვა რა გზა ჰქონდა, ადგა და ტურინს გაემგზავრა, სადაც ეს ორი პიროვნება ერთმანეთს შეხვდა და რაღა თქმა უნდა, კრეატინზე ისაუბრა.

მოკლედ შეგახსენებთ საქმის ვითარებას — მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა თუ არა, „რომას" ჩეხმა თავკაცმა ზდენეკ ზემანმა ერთი ამბავი ატეხა, სერია A-ში მოთამაშე ფეხბურთელთა უმეტესობა დოპინგით იჭყიპება, განსაკუთრებით „იუვენტუსის" წევრები გამოირჩევიან და ამას დროზე მიხედეთო. ბუნებრივია, დაიწყო გამოძიება, რომლის წარმართვაც სწორედ გუარინიელოს დაევალა. მას შემდეგ ბევრ რამეს მოეფინა ნათელი, პროკურორმა არაერთი ვარსკვლავი დაკითხა, ძირითადად „იუვენტუსიდან" — ზინედინ ზიდანი, დიდიე დეშამპი, ალესანდრო დელ პიერო და მრავალი სხვა. პროკურატურის წარმომადგენლებმა მრავალი გასაიდუმლოებული მასალა აღმოაჩინეს იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო ლაბორატორიებში, რასაც ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მარიო პესკანტეს ჯერ გადადგომა, შემდეგ კი დაკავება მოჰყვა. მოკლედ, აპენინებზე დიდი, პირწმინდად იტალიური ამბები დატრიალდა და რავანელიც ამ ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლავთ, ვინაიდან იგი 1992-96 წლებში „ბებერი ქალბატონის" ღირსებას იცავდა.

გუარინიელოსთან შეხვედრის შემდეგ თმაშევერცხლილი ფორვარდი ჟურნალისტებსაც გაესაუბრა, რომლებსაც პირველ ყოვლისა პროკურატურაში შემდგარი დაკითხვის ძირითადი ასპექტები აინტერესებდათ. რავანელიმაც პრესის წარმომადგენლებს უარი არ უთხრა და განუცხადა, ჩვენი საუბარი ძირითადად კრეატინს შეეხებოდაო. ეს პრეპარატი დოპინგად არ ითვლება, მას ფეხბურთელები ძირითადად ტრავმის მოშუშების ბოლო ეტაპზე იღებენ, რათა აღდგენითი პროცესი უფრო სწრაფად და ხარისხიანად გაიარონ, ამავდროულად, ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ კრეატინი ჯანმრთელობისთვის საშიშია.

რავანელის პროკურორისთვის ისიც პატიოსნად უთქვამს, რომ ტურინულ კლუბში თამაშის ერთ-ერთ ეტაპზე იგი ხმარობდა კრეატინს, ერთ მიღებაზე 6-8 გრამს, თუმცა დაახლოებით ერთი თვის შემდეგ აღმოუჩენია, რომ წონაში ორი კილოგრამით მოიმატა და სტიმულატორით სარგებლობაზე უარი უთქვამს.

სხვათა შორის, ფაბრიციო ერთადერთია აქამდე დაკითხულ ფეხბურთელთა შორის, ვინც აღიარა პრეპარატის მიღება, თუმცა ეს მისთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, კრეატინი დოპინგად არ ითვლება და მისი მიღებისთვის მოთამაშე დისკვალიფიკაციით არ ისჯება.

მოკლედ, ტურინისა და იტალიის სხვა ქალაქების პროკურატურები რაფაელე გუარინიელის წინამძღოლობით კუს ნაბიჯებით, მაგრამ მაინც მიდიან წინ, სიმართლისაკენ.



სარბიელის არქივიდან

ფაბრიციო რავანელი — პატიოსნების განსახიერება

# პატარა გაუგებრობა საფრანგეთში

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მე-11 ტური უჩვეულოდ გაიწელა — ცხრა მატჩი სამი დღის განმავლობაში გაიმართება ლორიანი-მარსელი, ლიონი — ლე ავრი, მონაკო — ნანტი ხუთშაბათისთვისაა დანიშნული, სოშო-მონპელიე — შაბათს. დანარჩენი ხუთი შეხვედრა კი — პარასკევს გაიმართება. სიტუაცია ამ ქვეყნისთვის მართლაც რომ რთულია, თორემ ზოგან ერთი ტურის თამაშების ოთხი დღის განმავლობაში ჩატარებაც არაა უცხო. რადგან ასეთი რამ საფრანგეთში პირველად ხდება, ამიტომ ადამიანს ორი მთავარი კითხვა უჩნდება: რატომ მოხდა ეს და გამეორდება თუ არა იგივე მომავალშიც? თავდაპირველად უნდა ვთქვათ, რომ პირველი დივიზიონის ყოველ ტურში ორი თამაში სხვებზე ერთი დღით ადრე ან გვიან იმართება, რაც ფეხბურთის ნაციონალურ ლიგასა (ფნლ) და კერძო სატელევიზიო არხ „CANAL+"-ს შორის დადებული კონტრაქტის შედეგია. ამასთანვე კალენდრის შედგენისას ლიგის თავკაცებმა მხედველობაში უნდა მიიღონ საერთოდ ფრანგული და საერთაშორისო ფეხბურთის კალენდარიც. როგორც იცით, ოთხი ფრანგული კლუბი ჯერ კიდევ აგრძელებს უეფას თასისთვის ბრძოლას, მეხუთე კი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს.

ამ ოთხი გუნდიდან მხოლოდ „ბორდო" ითამაშებს ადრე დათქმულ დროს. „მარსელმა", „ლიონმა" და „მონაკომ" კი ლიგის წესდების 312-ე მუხლი გამოიყენეს და თავიანთი მატჩები ერთი დღით ადრე წაწიეს. 312-ე მუხლში კი წერია: „ევროსარბიელზე მოთამაშე კლუბებს უფლება აქვთ, დამატებითი 24 საათიანი დასვენება ან მომზადება მოითხოვონ". ჰოდა, სწორედ ამის გამო მოახერხეს აღნიშნულმა კლუბებმა საწადელის აღსრულება. ასე რომ, იგივე სიტუაცია კვლავაც შეიძლება განმეორდეს. ამით აღშფოთებული ზოგიერთი მწვრთნელი კი 312-ე მუხლის, რომელიც, სხვათა შორის, გი რუს და არსენ ვენგერის ინიციატივით მიიღეს, საერთოდ გაუქმებას მოითხოვს.

პასუხისმგებელია თუ არა ფნლ ამ არეულობისთვის? ლიგის გენერალურ დირექტორ ჟაკ ტებოს თქმით, მათ ეს წესი მხოლოდ და მხოლოდ ფრანგული ფეხბურთის და კლუბების სასიკეთოდ შემოიღეს, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ზოგიერთი გუნდი ამას ბოროტად იყენებს და თავიანთი მატჩების გადატანის შესახებ მათ მხოლოდ რამოდენიმე დღით ადრე აცნობებს ხოლმე. სწორედ ასე მოქცეულა „მარსელი", ვისაც „სტრასბურთან" 17 ოქტომბერს გასამართი შეხვედრის 16 ოქტომბერს თამაშის სურვილი ოდენ 10 ოქტომბერს გამოუთქვამს.

აქვე გაგაცნობთ ზოგ გამოხმაურებას ამ საქმის შესახებ.

რობერ ბუდზინსკი („ნანტის" სპორტული დირექტორი): „აბსოლუტურად წინააღმდეგი ვარ ტურების გაწელვის, მაგრამ ჩვენ იმ ხალხის ტყვეობაში ვართ, ვინც ფეხბურთში ფულს დებს. რა თქმა უნდა, ევროპაში მოთამაშე გუნდების ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ „CANAL+"-ის ბრძანებებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. დაუშვებელია, რომ მე-11 ტური ხუთშაბათს იწყება და მხოლოდ შაბათს გასრულდება. მართალია, ტელევიზიას ჩვენთვის წელიწადში 20 მილიონ ფრანკამდე მოაქვს, მაგრამ ნანტში ერთ-ერთი მატჩის დაგვიანებით გადატანა 2 მილიონი ფრანკი დაგვიჯდა. თუ ლიგა გამონაკლისს დაუშვებს, ეს კიდევ ასატანია, მაგრამ თუ ამ გამონაკლისებმა რეგულარული ხასიათი მიიღო, დაუშვებელია".

გი რუ („ოსერის" მწვრთნელი): „ინგლისელები, რომლებმაც ფეხბურთი გამოიგონეს, მალე მიხვდნენ, რომ ტელევიზიის საჭიროებების გამო ერთი ტურის სამ-ოთხ დღეზე გაწელვა საჭირო იქნებოდა. საფრანგეთში საზღვრების გახსნის შემდეგ ჩვენი ცნობიერებაც უნდა მივიდეს ამ დონემდე. ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის მეტად სასიამოვნოა, როცა ტელეეკრანზე თითქმის ყოველდღე შეუძლიათ რაიმე მატჩის ცქერა. მე მთლიანად ვემხრობი 321-ე მუხლს, რომლის მიღებაშიც საკმაო წვლილი მიმიძღვის არსენ ვენგერთან და „მონაკოს" პრეზიდენტ კამპორასთან ერთად. აუცილებელია, რომ ჩვენ გუნდებს ყოველთვის ჰქონდეთ დამატებითი დრო ევროთასების მატჩების უკეთ მოსამზადებლად. ჩვენთვის მთავარია, კონტინენტის შეჯიბრებებში რაც შეიძლება უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ, რადგან ამით ევროთასებზე იმატებს ფრანგული კლუბების რაოდენობა".

**გაგი გურული**

## გერმანია

გუშინდელ „სარბიელში" გერმანიის პირველი ბუნდესლიგის მიმოხილვაში დაშვებულია შეცდომა. „ბოხუმ" — „მიონხენგლადბახის" მატჩში 2:1 მასპინძლებმა მოიგეს და არა, სტუმრებმა. ცხრილში კი ეს შედეგი სწორადაა შეტანილი.

**ბოხუმი 2:1 მიონხენგლადბახი**

0:1 პფლიპსენი (11), 1:1 რაისი (15), 2:1 შინდცილორცი (46)

ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი, კრახტი, ვალდოხი, პეშელი (ტოპლაკი 68), ნ. ჰოფმანი (ფარენჰორსტი 57), შინდცილორცი, რაისი, გაუდინო, კუნცი (ბასტურკი 57), ბუკლი

მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, ვიტეჩეკი, ასანინი, პასლაკი, დაისლერი, პფლიპსენი, ვინჰოფი (ჰაგნერი 76), მ. შნაიდერი, პოლსტერი, პეტერსონი (კეტელაერი 64)

გაფრთხილება: შინდცილორცი, პეშელი, ვიტეჩეკი, ასანინი, პოლსტერი, ანდერსონი

მსაჯი: აუსტი

## პორტუგალია

VIII ტური

**სალგეირუში 1:1 ბრაგა**

1:0 კრუზი (11), 1:1 არტურ ჟორჟე (37)

**ლეირია 2:2 პორტუ**

1:0 ავგუსტინ აჰინფული (8), 2:0 ბაკერო მარტინში (52), 2:1 ნუნო კაპუჩო (73) 2:2 ჟარდელი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 8 | 5 | 3 | 0 | 15:5 | 18 |
| ბოავიშტა | 8 | 5 | 3 | 0 | 9:2 | 18 |
| უნიაუ | 8 | 5 | 2 | 1 | 12:5 | 17 |
| პორტუ | 8 | 5 | 1 | 2 | 17:7 | 16 |
| ბენფიკა | 8 | 5 | 1 | 2 | 15:6 | 16 |
| სალგეირუში | 9 | 3 | 5 | 1 | 12:9 | 14 |
| ამადორა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:10 | 13 |
| შავეში | 8 | 3 | 2 | 3 | 11:13 | 11 |
| სეტუბალი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:11 | 9 |
| ბრაგა | 8 | 2 | 3 | 3 | 9:13 | 9 |
| აკადემიკა | 9 | 2 | 2 | 4 | 10:17 | 8 |
| ალვერკა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:11 | 8 |
| რიუ ავე | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| გიმარაეში | 8 | 2 | 1 | 5 | 13:12 | 7 |
| ფარენსე | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| მარიტიმუ | 8 | 1 | 3 | 4 | 9:11 | 6 |
| კამპომაიორენსე | 8 | 1 | 3 | 4 | 9:14 | 6 |
| ბეირა მარი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:10 | 6 |

## საბერძნეთი

მე-7 ტური. პანიონისი — ვერია 0:0; პანათინაიკოსი — კავალა 6:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 7 | 6 | 0 | 1 | 17:8 | 18 |
| აეკი | 7 | 5 | 2 | 0 | 13:4 | 17 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 1 | 1 | 21:6 | 16 |
| იონიკოსი | 7 | 4 | 1 | 2 | 17:10 | 13 |
| ქსანტი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| პანილიაკოსი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:9 | 12 |
| ირაკლისი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| არისი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 11 |
| პაოკი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| პანიონისი | 7 | 3 | 1 | 3 | 17:12 | 10 |
| ოფი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:10 | 9 |
| პანელეფსინიაკოსი | 7 | 1 | 4 | 2 | 4:8 | 7 |
| ასტირი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:13 | 7 |
| კავალა | 7 | 2 | 1 | 4 | 13:21 | 7 |
| პრუდეფტიკი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |
| აპოლონი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:17 | 5 |
| ეთნიკოსი | 7 | 0 | 2 | 5 | 2:15 | 2 |
| ვერია | 7 | 0 | 2 | 5 | 1:12 | 2 |

## შვედეთი

24-ე ტური. ფროლუნდა — ჰამარბიუ 2:[illegible] ოსტერი — ნორჩიოპინგი 0:2; ერებრუ — ტრელებორგი 4:2; ჰალმშტადი — ჰა[illegible] კენი 0:1; მალმიო — ორგრიტე 3:1; ელფ[illegible] სბორგი — აიკი 1:1. გეტებორგი — ჰელსინგბორგი გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკი | 24 | 10 | 12 | 2 | 24:15 | 42 |
| ჰამარბიუ | 24 | 10 | 9 | 5 | 37:35 | 39 |
| ჰელსინგბორგი | 23 | 10 | 8 | 5 | 39:26 | 38 |
| ფროლუნდა | 24 | 10 | 7 | 7 | 29:28 | 37 |
| ჰალმშტადი | 24 | 11 | 4 | 9 | 38:39 | 37 |
| ერებრუ | 24 | 10 | 6 | 8 | 35:33 | 36 |
| ელფსბორგი | 24 | 8 | 8 | 8 | 35:30 | 32 |
| ნორჩიოპინგი | 24 | 8 | 7 | 9 | 38:34 | 31 |
| ტრელებორგი | 24 | 8 | 7 | 9 | 31:32 | 31 |
| გეტებორგი | 23 | 8 | 7 | 8 | 23:27 | 31 |
| მალმიო | 24 | 7 | 8 | 9 | 28:29 | 29 |
| ორგრიტე | 24 | 6 | 7 | 11 | 33:34 | 25 |
| ჰაკენი | 24 | 5 | 8 | 11 | 24:41 | 23 |
| ოსტერი | 24 | 5 | 5 | 14 | 24:41 | 20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ნაკრებისა და „მილანის“ მარცხენა მცველი პაოლო მალდინი ორი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს. ამის მიზეზი ცხვირის ოპერაციაა, რომელიც მან გუშინ გაიკეთა. მალდინიმ ცხვირი კვირას, სერია A-ს მორიგ ტურში „რომასთან“ შეხვედრაში ერთ-ერთ დედაქალაქელ ფეხბურთელთან შეჯახებისას გაიტეხა. ამგვარად, მას ხვალ იტალიის თასზე „ლაციოსთან“ მატჩში ვერ ვიხილავთ, ისევე როგორც ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში სტუმრად „პიაჩენცასთან“. სავსებით შესაძლებელია, გამოცდილმა მცველმა 8 ნოემბრის უმნიშვნელოვანესი მატჩიც გამოტოვოს, როდესაც მისი კლუბი მილანურ დერბიში „სან-სიროზე“ „ინტერს“ დაუპირისპირდება. ჯერჯერობით „მილანი“ იტალიის ჩემპიონატში 12 ქულით მესამეა ლიდერ „ფიორენტინასა“ და მეორე ადგილზე მყოფ „იუვენტუსის“ შემდეგ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ვეტერანი ლიბერო ლოთარ მათეუსი მისი კლუბის უფროსობამ 10 ათასი გერმანული მარკით (6,053 დოლარი) დააჯარიმა. საქმე ისაა, რომ მათეუსი, რომელსაც ტრავმა აწუხებს და ამიტომ ვარჯიშისგანაც კი თავს იკავებს, ავსტრიის ალპებში თხილამურებზე ამხედრებული შენიშნეს, წერს გერმანული საფეხბურთო ჟურნალი „კიკერსი“. სხვათა შორის, ოქტომბრის დასაწყისში „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ კიდევ ორი მიუნხენელი ფეხბურთელი დასაჯა ანალოგიურად — შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი. პირველი არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა მანქანას, ხოლო „სუპერმარიომ“ მიუნხენის ყოველწლიურ ლუდის ფესტივალზე ზომაზე მეტად მოილხინა.

ᲓᲐᲜᲘᲣᲠᲘ კლუბის „კოპენჰაგენის“ წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ იტალიური „კალიარიდან“ კრისტიან ლონსტრუპი გადაიბირეს. 27 წლის დანიელმა ფეხბურთელმა თავის ახალ კლუბთან, რომელმაც გასულ ხუთშაბათს სენსაცია მოახდინა და თასთა თასის გათამაშების მერვედფინალში ლონდონურ „ჩელსის“ ფრედ 1:1 ეთამაშა, სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო ფინანსური დეტალების გამომზეურება „კოპენჰაგენის“ წარმომადგენლებმა არ ისურვეს.

ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატი, მე-10 ტური: პეტრა — სლავია 1:1, კარვინა — ტეპლიცე 0:2, იაბლონეცი — ბონო 1:1, ვიქტორია (პლზენი) — ჩმელი 2:1, ჰრადეცი — დუკლა 3:0, სიგმა — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 2:1, ოპავა — სლოვანი 2:0, სპარტა — ბანიკი 1:1. ჩემპიონატს 23 ქულით „ტეპლიცე“ ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებზე 19-19 ქულით „სიგმა“ და „პეტრა“ არიან.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა თავის გუშინდელ გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო ფეხბურთზე საუბარს, სადაც აღნიშნა, რომ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში და საერთოდ, რუსულ ფეხბურთში არსებული პრობლემები დროზე უნდა მოგვარდეს. „უეჭველია, ეროვნულ გუნდს უკეთ შეუძლია თამაში, ეს სულ ახლახან გამართულ მატჩებშიც ნათლად გამოჩნდა, როდესაც ნაკრები მოწინააღმდეგეზე უკეთ ირჯებოდა, მაგრამ რატომღაც იგი ყოველთვის მოულოდნელად მარცხდება ხოლმე. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს — რუსეთის ნაკრები მარტო საფეხბურთო გუნდი არ არის, ის მთლიანად ერს წარმოაჩენს მთელს მსოფლიოში. ადრე სხვაგვარი სიტუაცია იყო, ვინაიდან სსრკ ნაკრებში ქართველი, უკრაინელი, ბელარუსი და უზბეკი ფეხბურთელებიც ასპარეზობდნენ. ასე რომ, რუსეთის ეროვნულ გუნდს მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდება, სხვაგვარად არაფერი გამოვა“ — განაცხადა პრიმაკოვმა და დაამატა, რომ მზად არის, ნაკრებს ყოველმხრივ ამოუდგეს მხარში.

ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲘᲡ ნაკრებისა და თურქული „ფენერბახჩეს“ ერთ-ერთმა ლიდერმა უჩე ოკეჩუკვუმ განაცხადა, რომ პირადული მიზეზების გამო სანაკრებო კარიერას ასრულებს. „მე მხოლოდ კლუბში თამაში მსურს, რადგან ვთვლი, რომ ნიგერიის ნაკრებში მრავალწლიანი გამოსვლის შემდეგ ადგილი სხვა, შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელს უნდა დავუთმო“ — აღნიშნა ოკეჩუკვუმ. მან ისიც თქვა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არ აქვს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატსა და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ პრობლემებთან. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი 98-ზე დანიის ნაკრებთან მერვედფინალში სამარცხვინოდ 1:4 წაგების შემდეგ ნიგერიელ ფეხბურთელებსა და გუნდის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის უთანხმოება მოხდა, როგორც შემდეგ გაირკვა, ფინანსური საკითხების გამო. აგვისტოში ნაკრებიდან წასვლის შესახებ კიდევ ერთმა ნიგერიელმა, ამსტერდამის „აიაქსის“ მცველმა სანდი ოლისემ განაცხადა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ქოვენთრი სიტის“ საუკეთესო ბომბარდირი დიონ დაბლინი მოლაპარაკებას აწარმოებს „ბლექბერნ როვერსთან“ ამ კლუბში კარიერის გაგრძელების თაობაზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „ქოვენთრის“ თავმჯდომარე ბრაიან რიჩარდსონმა მას „ბლექბერნის“ თავკაც როი ჰოჯსონთან შეხვედრის უფლება მისცა. „ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ დაბლინის სურვილს წინ ნამდვილად ვერ აღვუდგებოდით. გასულ კვირაში მივიღეთ წერილობითი შემოთავაზება, სადაც წერია, რომ „ბლექბერნი“ მზად არის, 6,75 მილიონი გირვანქა გადაგვიხადოს. თუ ჩვენ მივიღებთ ამ წინადადებას, მაშინ წერილობითვე უნდა ვაცნობოთ მათ ამის შესახებ. ახლა ფეხბურთელი პირადად აწარმოებს მოლაპარაკებას და ამიტომ სიტუაცია ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება“ — აღნიშნა გულდაწყვეტილმა რიჩარდსონმა. ამ ინფორმაციამ მეტად დაამწუხრა „ქოვენთრის“ ფანები, ვინაიდან გუნდს მეტად უჭირს, მე-18 ადგილზე იმყოფება და ასეთი მაღალი დონის თავდამსხმელის სხვა კლუბში გადასვლამ „ქოვენთრიზე“ შეიძლება დამღუპველად იმოქმედოს. შეგახსენებთ, რომ დაბლინი ზედიზედ ოთხი სეზონის განმავლობაში კლუბის საუკეთესო მეგოლე იყო, ხოლო გასულ სეზონში მაიკლ ოუენთან და კრის სატონთან ერთად სულაც პრემიერლიგის ბომბარდირი გახდა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ნაკრები 28 ოქტომბერს ოსაკაში ამხანაგურად გაეჯიბრება აფრიკის თასის მფლობელ ეგვიპტეს. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ ეს იაპონელთა პირველი შეხვედრა იქნება. ამავდროულად ამ შეხვედრაში ამომავალი მზის ქვეყნის მობურთალი შვილნი ახალი მწვრთნელის, ფრანგი ფილიპ ტრუსიეს ხელმძღვანელობით ითამაშებენ. აფრიკის კონტინენტზე თეთრი შამანის მეტსახელით ცნობილმა ფილიპ ტრუსიემ ეგვიპტელებთან მატჩისთვის 22 იაპონელ ფეხბურთელს უხმო. უფრო სწორად, ოცდაერთს. 22-ე იაპონიის მოქალაქეობამიღებული ვაგნერ ლოპესია. ტრუსიეს რჩეული ფეხბურთელებიდან 17 საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. გუნდის შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ჰაიატო ოკანაკა, იოშიკაცუ კამაგუჩი, სეიგო ნარაზაკი; მცველები — მასამი იჰარა, იუტაკა აკიტა, ნაოკი სომა, ტიშიჰიდე საიტო, ეისუკე ნაკანიში, მაკოტო ტანაკა; ნახევარმცველები — ჰიროაკი მირიშიმა, ჰიროში ნანამი, შიგეიოში მოშიზუკი, ტოშიჰირო ჰატორი, ტაკაში ჰირანო, ტერუოში იტო, დაისუკე ოკუ, ჰიდეტიში ნაკატა; თავდამსხმელები — მასამი ნაკაიამა, ვაგნერ ლოპესი, მასაოკი ოკანო, შოკი იო, ტაცუშიკო კუზო.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ეროვნული გუნდი 4 ნოემბერს ამხანაგურ შეხვედრაში სოფიაში ალჟირის ნაკრებს უმასპინძლებს. ბულგარელთა თავკაცმა დიმიტარ პენევმა განაცხადა, რომ ამ მატჩისთვის საზღვარგარეთ მოთამაშე ფეხბურთელებს არ გამოიძახებს და გუნდს ძირითადად „ლევსკის“ და „სლავიას“ წევრებით დააკომპლექტებს.

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1972,76

## ფრანც ბეკენბაუერი

*კონსტანტინე გოგიშვილი*

# ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ

ფრანც ბეკენბაუერი არ იყო ფეხბურთის მეფე. ფეხბურთის მეფედ მანამდე პელე, ხოლო მის შემდეგ მარადონა აღიარეს. თვითონ დიდ გერმანელს კი კაიზერ-ფრანცი უწოდეს, იმპერატორი და ამით ყველაფერია ნათქვამი. ისე, კარგად კი ჟღერს — ფეხბურთის იმპერატორი, მეტიც, დიდებულადაც ჟღერს, ისევე დიდებულად, როგორც თავად ბეკენბაუერი იყო დიდებული ფეხბურთელი.

ძნელია კაიზერ-ფრანცის მსგავსი მობურთალი რაიმე ჩარჩოში მოაქციო, თუნდაც ოქროს ბურთის ლაურეატის, ანაც მსოფლიო ჩემპიონის ჩარჩოში. ესენი და ამის მაგვარი რაღაცეები უფრო ტიტულებია, ჩინ-მედლები, წოდება, რომელიც ერთხელაც უსვამს ხაზს ამა თუ იმ ფეხბურთელის დიდებულებას, მთავარი და ღირსეული სწორედ ის გახლავთ, რომ თავად ბეკენბაუერი არსებობდა, თორემ ოქროს ბურთის ლაურეატად ბელანოვიც შეიქნა, ანაც როგორ გგონიათ, ერთი და იგივეა ბეკენბაუერი — მსოფლიო ჩემპიონი და ვთქვათ, მსოფლიო ჩემპიონი — გივარში?

საქმე სიდიდეშია.

ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთელი იყო კაიზერ-ფრანცი, მეტიც ეპოქალური, ერთი სიტყვით, მოვლენა გახლდათ, ერთიანად რომ მოიცვა და შეცვალა კიდეც მცველის, ლიბეროს, ნახევარმცველის, ლიდერის ამპლუები და ეს პელეს, ეუსებიოს, კრუიფის ფონზე. ოქროს ბურთი კი მერე იყო, გაცილებით მერე.

ამ ეპოქალურობის გამო არ გადავტვირთავთ წერილს ფაქტებით და მოვლენებით, არა გვგონია, თვით ბეკენბაუერის არსებობაზე დიდი ფაქტი ან მოვლენა იყოს ის, რომ მან სადღაც ვილაცას გოლი გაუტანა, სადღაც ვილაცას ფეხი არ გაანძრევინა და ამა და ამ წელს ესა და ეს თასი იპყრო ხელთ...

ეს უბრალო რამეა, არქივარიუსთა საფუსფუსო... თავისთავად მნიშვნელოვანი, მაგრამ არა მთავარი.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ფრანც ბეკენბაუერმა ერთიანად შეცვალა და მიამსხვრ-მოამსხვრია მსოფლიო ფეხბურთში მანამდე არსებული წარმოდგენა კლასიკური ლიბეროს შესახებ. გამოჩნდა კაიზერი და ისიც გამოჩნდა, რომ — ლიბეროს არა მარტო დაცვა ევალება, არამედ ბურთის ამოტანაც უნდა ეხერხებოდეს და შეტევის დაწყებაც — ამას კრუიფი იტყვის მოგვიანებით.

მსოფლიო ფეხბურთმა იცის, რომ ბეკენბაუერი იყო ახლებური ტიპის ლიბერო, რომელიც ნახევარდაცვაშიც დიდებულად ირჯებოდა, ახლა ერთ ციტატას მოვიტანთ და მერე ხელახლა განვსაჯოთ, კიდევ რა და რამდენი შეეძლო კაიზერ-ფრანცს — ცნობილია, თუ როგორი დიდებული გამთამაშებელია ფრანც ბეკენბაუერი. მაგრამ ამ მატჩში იგი ვერ ეხმარებოდა თავდამსხმელებს, მთლიანად ბობი ჩარლტონის მეურვეობით იყო გართული. შემდეგში გერმანელმა ჟურნალისტებმა მწარედ უსაყვედურეს მწვრთნელ ჰელმუტ შიონს, რომ ასეთი პერსონალური დავალება მისცა ბეკენბაუერს, დეე, ჩარლტონის წინააღმდეგ ეთამაშა სხვა რომელიმე ნახევარმცველს, ბეკენბაუერს კი ეკეთებინა თავისი ჩვეულებრივი საქმე — შეეტია და შეეტია — ეს სიტყვები ინგლის-გფრ-ს 1966 წლის ფინალის შემდეგ ითქვა.

ამ ციტატიდან გამომდინარე, ერთხელაც ჩამოვთვალოთ ბეკენბაუერის ამპლუა (ამპლუები) ან, უფრო სწორად, ფუნქცია (ფუნქციები) პერსონალური - მცველი, ლიბერო, ნახევარმცველი - გამთამაშებელი, შემტევი - ნახევარმცველი და, რაც ყველაზე მეტს ნიშნავს — ლიდერი.

მას ფეხბურთის თამაშის მეტად ლამაზი მანერა გამოჰყოფდა სხვათაგან. როგორღაც ორიოდე წლის წინ გერმანელმა ფეხბურთზე მწერლებმა ერთმანეთს შეადარეს ფოგთსი და კაიზერ-ფრანცი — ფოგთსი „ფოლკსვაგენს“ ჰგავს — მუშაა და საიმედო. აი, ბეკენბაუერი კი „მერსედესს“ გვაგონებს თავისი ბრწყინვალებითა და დიდებულებითო — ასეთი იყო მათი შედარება და, ალბათ, ზუსტიც — კაიზერი დახვეწილი იყო მოედანზე, მისი ხელწერა ნებიმიერ საფეხბურთო გურმანს დააკმაყოფილებდა.

ათლეტური, ხმელ-ხმელი, ლამაზად აღნაგი ბეკენბაუერის სტილი სასიამოვნოდ ხვდებოდა თვალს. პასს მისცემდა — გამოზომილს, რეიდს წამოიწყებდა — საარაკოს, შეუტევდა და დაარტყამდა — ნაღდ გერმანულს და ზუსტს, ზუსტს, ზუსტს... ესეც ახალი იყო, უცხო ხილი თავისებურად, გამართული გერმანული მანქანისთვის. ამ მანქანას ხომ ზედმეტი ეფექტები არ ახასიათებდა, ეს მანქანა ხომ იშვიათად უხდიდა ხარკს სილამაზეს. არადა, კაიზერის ფეხბურთი ლამაზი იყო და მეტად ლამაზიც. ეს კონტრასტულობაც ხაზს უსვამდა ბეკენბაუერის ფეხბურთის სიდიადეს.

სხვა იყო საკლუბო ბეკენბაუერი. მისი კარიერა ხომ მიუნხენის „ბაიერნის“ არნახულ აღზევებას დაემთხვა. „ბაიერნს“ მანამდეც (ყოველთვის) ჰქონდა გფრ-ის ჩემპიონობის პრეტენზია, მაგრამ ეს განსაკუთრებით იუგოსლაველი სპეციალისტის ზლატკო ჩაიკოვსკის მწვრთნელობისას გახდა ხელმისაწვდომი და ადვილადაც ხელმისაწვდომიც. — ისეთ კლუბს, როგორიც „ბაიერნია“, სჭირდება ელეგანტური მოთამაშეები, ნამდვილი „ვარსკვლავები“ — წამდაუწუმ იმეორებდა ჩაიკოვსკი, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში თვით იყო სახელოვანი ფეხბურთელი. ჩაიკოვსკის ჭირივით ეჯავრებოდა უხეში, მკვეთრი მანერით მოთამაშე ფეხბურთელები, რომლებიც მეტოქეებზე ნადირობდნენ. გაუმართლა კიდეც მწვრთნელს. მან „ბაიერნში“ ჩინებულ ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი აღზარდა, განსაკუთრებით კი მეკარე მაიერმა, მეგოლე მიულერმა და დიდებულმა ბეკენბაუერმა ასახელეს ჩაიკოვსკი.



ფრანც ბეკენბაუერი

დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიუნხენში
ნახევარმცველი
სიმაღლე: 1,82
წონა: 77 კგ
კლუბები: „ბაიერნი“ (გფრ, 1963-77), „კოსმოსი“ (აშშ, 1977-80), „ჰამბურგი“ (გფრ, 1980-82), „კოსმოსი“ (აშშ, 1983)
ტიტულები: გფრ-ის ჩემპიონი — 1969, 72, 73, 74, 82; გფრ-ის თასი — 1966, 67, 69, 71; აშშ-ს ჩემპიონი — 1978, 80; ჩემპიონთა თასი — 1974, 75, 76; თასების მფლობელთა თასი — 1967; საკონტინენტთაშორისო თასი — 1976; მსოფლიოს ჩემპიონი — 1974; მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1966; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1970; ევროპის ჩემპიონი — 1972; ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1976
ნაკრებში 103 თამაშში გაიტანა 14 გოლი (1965-77)

ზლატკო ჩაიკოვსკის ახალგაზრდული გუნდი ძალიან მალე დაწინაურდა ბუნდესლიგაში. წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა თამაშის ხარისხიც. კლუბის სიდიადემ კი სამოცდაათიან წლებში მიაღწია ზენიტს — 72, 73, 74 წლებში „ბაიერნი“ ზედიზედ გახდა გფრ-ის ჩემპიონი, 74, 75, 76 წლებში სამჯერ აიღო ჩემპიონთა თასი, საკონტინენტთაშორისო თასი... საერთოდ 70-იანი წლების პირველი ნახევარი გერმანული ფეხბურთის აღზევების ხანა გახლდათ, ამ ხანის შემოქმედნი კი — ბეკენბაუერი და კომპანია.

1966 წლის „ვერცხლის“ შემდეგ, მექსიკის 1970 წლის ჩემპიონატში გფრ-ს ნაკრებს ყველა ერთხმად მიიჩნევდა ბრაზილიელთა ძირითად კონკურენტებად მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. ჩინებული მეკარეები მაიერი და ვოლტერი, პირველხარისხოვანი დაცვა, უმაღლესი კლასის ნახევარმცველები ბეკენბაუერი და ოვერატი, თავდამსხმელები ლიბუდა, გრაბოვსკი, ლიორი, მიულერი, ჰელდი და ზეელერი. სპეციალისტთა აზრით, ასეთ გუნდს ბევრი ხელეწიფებოდა. და მაინც, გფრ-ის ნაკრები 1970 წელს მესამე ადგილზე დარჩა. თუმცა კი ბევრი მიმომხილველის აზრით, მათ იტალიელებზე მეტად ერგებოდათ ვერცხლის მედლები. ეტყობოდა ჯერაც არ დაეკრა ჟამს...

ჟამმა 1974 წელს დაჰკრა. მით უმეტეს, ჩემპიონატს გფრ მასპინძლობდა. ასეთ შანსს ვინ გაუშვებდა ხელიდან. ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, გრაბოვსკი, მაიერი, მიულერი, ნეტცერი, ოვერატი, ფოგთსი, ჰიონესი და სხვები სამშობლოში ჩემპიონობის შანსს გაუშვებენ ხელიდან?

არადა, გდრ-სთან „ვარსკვლავთა საკრებული“. 0:1 დამარცხდა. ეს ის დროა, როცა „მფრინავი ჰოლანდიელები“ თავიანთი ტოტალური ფეხბურთით ქვას ქვაზე არ ტოვებენ. ჰოდა, ეჭვიც გაჩნდა — გახდება კი გერმანია ჩემპიონი? თუ... საფეხბურთო გერმანიას ამ „თუ“-ს გაფიქრებაც არ სურდა...

1974 წელი. 7 ივლისი. მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი“. გფრ — ჰოლანდია, ბეკენბაუერი — კრუიფი. მეორე წუთზე ნეესკენსის პენალტმა თითქოს ლახვარი ჩასცა საფეხბურთო გფრ-ს, მაგრამ აქ წმინდად გერმანული თავის გადარჩენის, გამძლეობის სინდრომი ამოქმედდა. ჰოდა, 25-ე წუთზე ბრაიტნერმა პენალტით წონასწორობა აღადგინა... 43-ე წუთზე მიულერმა გამარჯვების წერტილი დასვა... მატჩის შემდეგ გფრ-ს ნაკრების კაპიტანმა ფრანც ბეკენბაუერმა მსოფლიო ჩემპიონატების ახალი თასი პირველმა აღმართა...

მეცხრე ცაც ეს იყო... იმპერატორმა კვლავ გაიმარჯვა, ეს იყო გამარჯვებათაგან უდიდესი.

მისი ზედწოდებაც ახლებურად, სულ სხვაგვარად აჟღერდა, კაიზერ-ფრანცი... ფეხბურთის იმპერატორი.

**511. ლაშა თავდიშვილი.** ოზურგეთი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მანუჩარ მაჩაიძე, 4. შოთა იამანიძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**512. რობერტ ჩხარტიშვილი.** ოზურგეთი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**513. ელზა გადელია.** თბილისი. ექიმი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ვიტალი დარასელია, 4. მიხეილ მესხი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, რამაზ შეგნელია, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, შოთა არველაძე

**514. კახა გუგუჩია.** ზუგდიდი. ეკონომისტი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**515. გიორგი დიდიძე.** თბილისი. ინჟინერი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**516. ლევან ციმაკურიძე.** ინჟინერი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გელა კეტაშვილი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**517. ოთარ ქოიავა.** თბილისი. ზოოტექნიკოსი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**518. იონა ჯვარშეიშვილი.** თბილისი. ეკონომისტი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**519. სოსო მაისურაძე.** გორი. მოსწავლე. 10 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**520. ზაურ ნონიაშვილი.** გურჯაანი. გამგებელი. 36 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. შოთა ჭეიშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**521. უშანგი თოდაძე.** თბილისი. ეკონომისტი. 64 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. შალვა კაკაბაძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. შოთა იამანიძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ედუარდ თორაძე, გენადი კაციაშვილი, გიორგი სიჭინავა, რევაზ მახარაძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი

**522. გოდერძი ზირაქიშვილი.** თბილისი. ინჟინერ-ელექტრიკოსი. 63 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. შალვა კაკაბაძე, 3. გრიგოლ გაგუა
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. შოთა იამანიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ილია დათუნაშვილი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, დიმიტრი არსოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ნიაზ ძიაპშპა, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, კოტე მელქაძე, სლავა მეტრეველი, რევაზ ჩელებაძე, მიხეილ მესხი

**523. მაკა ჩახნაშვილი.** თბილისი. ჩოგბურთელი. 16 წლის. მწვრთნელი: 1. შალვა კაკაბაძე, 2. თემურ მახარაძე, 3. მურთაზ ხურცილავა
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ილია დათუნაშვილი, 3. ვლადიმერ ბარქაია, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვაჟა თარხნიშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი ბალაშვილი, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რევაზ მახარაძე, მიხეილ მესხი

**524. დავით გათენაძე.** თბილისი. ინჟინერი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**525. ზაზა გათენაძე.** თბილისი. ისტორიკოსი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**526. თენგიზ ნოზაძე.** ზესტაფონი. ინჟინერი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**527. ნუკრი სანიკიძე.** თბილისი. ინჟინერი. 41 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**528. დავით შარაშენიძე.** თბილისი. აგრონომი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. შოთა იამანიძე, 5. გაიოზ ჯეჯელავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ჭკუასელი, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**529. რობერტ სტეფანია.** თბილისი. ინჟინერი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**530. გიორგი ჩიტაძე.** თბილისი. ინჟინერი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. რევაზ ძოძუაშვილი, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**531. ირაკლი ჩიტაძე.** თბილისი. მოსწავლე. 11 წლის. მწრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. სერგო კოტრიკაძე
გუნდი: სერგო კოტრიჯაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავხ მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**532. აკაკი ჩიტაძე.** თბილისი. მოსწავლე. 8 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**533. ზურიკო ივანაშვილი.** ჭიათურა. ინჟინერი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. რევაზ ძოძუაშვილი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, ვიტალი დარსელია, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე

**534. ალეკო ივანაშვილი.** საჩხერე. ინჟინერი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**535. ხათუნა სულაძე.** თბილისი. ფსიქოლოგი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. თენგიზ სულაქველიძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, ვიტალი დარასელია, ვახტანგ კოპალეიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**536. აზა ლატარია.** თბილისი. მასწავლებელი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, შოთა იამანიძე, თამაზ კოსტავა, ვახტანგ კოპალეიშვილი, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, გიორგი ქინქლაძე, რამაზ შენგელია

**537. ნუგზარ ნარსია.** თბილისი. ექიმი. 46 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. თენგიზ სულაქველიძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**538. რახილო ძნელაძე.** ბათუმი. პენსიონერი. 87 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: 1. სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია

**539. ილია ძნელაძე.** ბათუმი. ეკონომისტი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**540. თინა გოგოლიშვილი.** ბათუმი. პედაგოგი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. რევაზ ჩელებაძე, 4. გივი ჩოხელი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები „სარბიელის“ მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

## საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______

## საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი

1 ______
2 ______
3 ______

## საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______
6 ______
7 ______
8 ______
9 ______
10 ______
11 ______

სახელი — — — — — —
გვარი — — — — — —
ასაკი — — — — — —
პროფესია — — — — — —
მისამართი — — — — — —

# საქართველოს ჩემპიონატი 6 ტური

## ანონსი

28 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### კოლხა — შევარდენი

მეექვსე ტურის პირველ მატჩში ერთმანეთს გათამაშების ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდები დაუპირისპირდებიან. ორივე მათგანს სადღეისოდ 6 ქულა აქვს და შესაბამისად, განვლილი 5 ტურის შემდეგ მეხუთე, მეექვსე ადგილებზე მოკალათებულან. მართალია, „შევარდენს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული და ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ეს ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს და უშუალოდ დღევანდელი შეხვედრა გამოაჩენს, თუ რომელი გუნდი უფრო ძლიერია.

თამაში კი მართლაც საინტერესო უნდა გამოდგეს. უეჭველია, ორივე გუნდი მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძოლებს. თანაც ორივე მათგანი მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერისაა და ბუნებრივია, თავიანთი პლუსების წარმოჩენას შეეცდებიან. ამიტომაცაა რთული ამ შეხვედრის პროგნოზირება. შეუძლებელია, გამარჯვებულის ვინაობა იწინასწარმეტყველო. მოკლედ, თავად მატჩს დაველოდოთ, რომელშიც წინა ტურში ნაცად „მაკაბისთან“ მიღწეული პირველი გამარჯვებით ფრთაშესხმული „კოლხა“ წამოწყებული სერიის გაგრძელებაზე იფიქრებს, ხოლო „შევარდენი“, იმ დღეს პირველობის ლიდერ სტუ-ს ძალიან რომ შეუძლიანდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, დღეს მიღწეული გამარჯვებით აპირებს ... წყენის დავიწყებას.

ვინ დაიჭერს დავით უგრეხელიძეს? — ალბათ, ეს უნდა აფიქრებდეს ყველაზე მეტად „შევარდენის“ მესვეურებს. წლეულს ძლიერად ათამაშებული „ბარაკუჯა“ მუდამ სტაბილურად ირჯება და მასთან თამაში მეტისმეტად სახიფათოა. ახლაც ტრავმამოშუშებული აბულაძე ჩვეულ ფორმას იბრუნებს და სოხუმელთა ცენტრების წინაალმდეგ შევარდნებს გაძლიერებული დაცვითი ტაქტიკის გამოყენება მართებთ. არ უნდა დაივიწყონ გოგიტა ბერიაც, რომელმაც უკანასკნელ თამაშებში თავისი ძალა სრულად წარმოაჩინა და თუ მას კვაჭაძემაც მხარი აუბა, დიდ პრობლემებს დაატეხენ ნებისმიერს.

თავის მხრივ, თბილისელებს ფარზე ... იმედებათ. ეს მოძრავი კალათბურთელი გუნდში დიდ სამუშაოს ასრულებს და სავარაუდოა, რომ უგრეხელიძეს სწორედ მას მიუჩენენ. ყოფილი არმიელები, გაგნიძე-აკოლაშვილი ... მეტისმეტად კარგად შეერწყნენ ... ეს შედეგშიც აისახა. უკანახაზელები — კაზანჯიანი და მაჭავარიანი შეტბილებული წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებენ და თუ „შევარდენმა“ თავისი 3-იანებიც ამოქმედა, კოლხებს სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი ... დაადგებათ.

მთავარი კი, ალბათ, მაინც მწვრთნელების მიერ არჩეული ტაქტიკაა. თბილისელები უფრო ზონური დაცვის მიმდევრები არიან და ვფიქრობთ, ამგვარად შეეცდებიან სოხუმელთა ლიდერების ნეიტრალიზებას. თუმცა დაცვას „კოლხაც“ დიდ ყურადღებას უთმობს და ამ გუნდების თავკაცთა ჩანაფიქრის ეფექტურობას ოდენ მატჩის შემდეგ თუ გავიგებთ.

**გიორგი ბიკაშვილი**

28 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### ვითა — მაკაბი

წინა ტურში, სოხუმელ სტუდენტებთან შეხვედრისას, ცოტა დააკლდა „მაკაბს“, თორემ ნავსსაც გატეხდა და სუ... მოითქვამდა. მაგრამ ასე არ მოხდა, მაკაბელებმა ყველაფერი გაიღეს, ... თავდადება და მონდომება არ დაკლებიათ, მაგრამ ყოველაფერს ხაზი უიღბლობამ გადაუსვა და მათი დალმასვლა გაგრძელდა. როგორც ჩანს, წაგებათა სერიის შეწყვეტა არც დღევანდელ მატჩშია უწერია — მისი ახლანდელი მეტოქე ექვსგზის ჩემპიონია. თანაც მუდამ პირველობისთვის მებრძოლმა „ვითამ“ შესუსტებულ მეტოქესთან რატომ უნდა წაიფორხილოს, როცა ერთმანეთს უკეთესი გუნდები (სდასუ, თსუ, „დინამო“) უკვე დააწიოკა.

ასე რომ, ამ შეხვედრაში ფავორიტად „ვითა“ ითვლება. შარშანდელ ჩემპიონს წლეულსაც საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. თითქმის ყველა მოთამაშე სტაბილურობით ხასიათდება და ლიდერაც ხელეწიფება. თანაბარი ძალის კალათბურთელებით დაკომპლექტებული „ვითა“ ყველა კლუბისთვის თავსატეხს წარმოადგენს და, აბა მასთან „მაკაბი“ რას გახდება?!

თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კალათბურთი მოულოდნელობებით აღსავსე თამაშია და ლოგიკას ნაკლებად ექვემდებარება. თანაც, ხომ გაგიგონიათ, დაჭრილი დათვი ერთი ორად საშიშია და ექვსგზის ჩემპიონისთვის „მაკაბი“ არც თუ ადვილად დასაძლევი გვეჩვენება: ვაჟა მხეიძემ თავისი გუნდის შესაძლებლობები კარგად უწყის და მის მთლიანად გამოყენებას შეეცდება. მაკაბელთა გამწევ ძალად კვლავინდებურად „ნაცადი ტრიო“ ითვლება.

ამ სამეულიდან ფერიაშვილმა მოედანზე თავი ეულად აღარ უნდა იგრძნოს, რადგან ანდღულაძეც და ტალაბაძეც ძველებურად ამოქმედდნენ. თანაც, გუნდში ტყუპი ბერიშვილების შემომატებით გათამაშებლის პრობლემაც მოიხსნა, რაც „კოლხასთან“ მატჩშიც გამოჩნდა. მაშინ მარტო დავითმა ითამაშა და დებიუტანტის კვალობაზე 30 ქულის მითვლა მართლაც რომ საქებარია. ალბათ, „ვითასთან“ მატჩში ირაკლიც გამოჩნდება და ძმების გარჯა „მაკაბის“ დიდად წაადგება...

და მაინც, „ვითა“ ფავორიტად ტყუილ-უბრალოდ არ ჩაგვითვლია, ბედის სასწორი მისკენ მეტად იხრება. თუმც კიდევ ვიმეორებთ, ბურთი მრგვალია და იქნებ „მაკაბიმ“ სენსაცია მოახდინოს.

**მამუკა ტულუში**

29 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### სდასუ — დინამო

ორივე გუნდმა ბოლო ორი შეხვედრა შარშანდელ ჩემპიონთან და ვიცე-ჩემპიონთან დათმო. ახლა კი ერთმანეთს პირისპირ წარუდგებიან და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან. პროგნოზის გაკეთება ძნელია. ყველაფერს ნათელს თავად მატჩი მოჰფენს, რომელიც მართლაც რომ დაძაბული იქნება. სწორედ აქ გამოჩნდება, ვინ ვის გადასწონის — სდასუ თუ დინამო.

ასე რომ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და შეხვედრას დაველოდოთ, თუმც, მეტოქეებს რომ ერთმანეთის ჯავრი სჭირთ, ამის დავიწყება არ ეგების.

შარშან სწორედ სტუდენტებმა წაჰგლიჯეს მოსეშვილის სისხლისგან დაცლილ გუნდს მესამე ადგილი. ახლაა და, ორივე მხარეს მოგება ჰაერივით ესაჭიროება და ამ გზაზე ერთმანეთს ელობებიან. თუმც წლეულს მდგომარეობა შეიცვალა. „დინამო“, განცდილი ორი მარცხის მიუხედავად, ლიდერთა ამქარშია გარეული, სდასუ კი ოთხი წაგებით სატურნირო ცხრილის ფსკერზეა. მოგება კი ორივესთვის აუცილებელი იმიტომაა, რომ ერთს ლიდერთა შორის ფეხს მყარად მოაკიდებინებს, მეორეს კი მომავლის იმედს ჩაუსახავს...

და მაინც, მცირედი უპირატესობა დინამოელთა მხარეზეა. გუნდს მოსეშვილის მტკიცე ხელი მუდამჟამს ატყვია და ახლაც შეეცდება, სტუდენტებს სწრაფი თამაში მოახვიოს თვას.

სდასუ-ც ნაღდად არ არის ადვილად დასაჩოქებელი. მართალია, გუნდმა ჩემპიონატი არასახარბიელოდ დაიწყო, რადგან სტუდენტები ლამის პირველობის დაწყებისას შეიკრიბნენ და სათანადო მზადება აკლდათ, მაგრამ პრიზიორი ნელნელა იკრებს ძალებს. მოთამაშეები ბურთსაც „გაუამხანაგდნენ“ (ადრე ამას ვუწუნებდით), მეტად მობილურნიც გახდნენ. მეტ-ნაკლები სიძლიერის სპორტსმენებით დაკომპლექტებული სდასუ ამ პრინციპულ შეხვედრაში თავდაუზოგავად გაირჯება. თუმცა სტუდენტ კალათბურთელთაგან მთელი მატჩის ტვირთი მაინც გიგაურის, ჩხეიძის, ქევხიშვილისა და გიგაშვილის მხრებზე გადაივლის. არც ლადო აბულაძის დავიწყება შეიძლება. ეს ბიჭი ზუსტი სამიანებით გამოირჩევა და ამ სნაიპერზე ბევრია დამოკიდებული...

დანარჩენს, როგორც ვთქვით, მატჩი გამოავლენს და შეხვედრის საცქერლად მოსული მაყურებელი წაგებული არ დარჩება. სდასუ—დინამოს ჯახს სიმძაფრე არასდროს დაკლებია და ახლაც ასე იქნება.

**მამუკა ტულუში**

29 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### თსუ — აზოტი

რუსთავის „აზოტი“ რომ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი უდავო ლიდერთაგანია, ამაში, ალბათ, ყველა დამეთანხმება. ამ გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატში ყველა მეტოქე დაამარცხა და სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეხვედრისას, როგორც ყოველთვის, გამარჯვებისათვის იბრძოლებს, მიუხედავად იმისა, რომ სდასუ-სთან „აზოტის“ წამყვანი თავდამსხმელი მიხეილ ბერუაშვილი ორი თამაშით დისკვალიფიცირებულია.

თსუ კი ახალგაზრდული, ენერგიული და ბრძოლისუნარიანი გუნდია, რაშიც ექვსგზის ჩემპიონთან თამაშისას დავრწმუნდით. გამოცდილ „ვითას“ მართლაც ტოლი არ დაუდეს, მაყურებელს ლამაზი თამაში აჩვენეს და აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს. მატჩის მიწურულს კი გამოცდილებამ თავისი გაიტანა და „ვითა“ გამარჯვებამდე მიიყვანა.

თსუ — „აზოტის“ შეხვედრაში ორი გამოცდილი ცენტრალური თავდამსხმელის, რუსთაველი ჯაფარიძისა და თსუელი ხელაშვილის საინტერესო ორთაბრძოლას უნდა ველოდეთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხელაშვილის გვერით, ახალგაზრდა, პერსპექტიული, ტანმაღალი ცქიტიშვილი ითამაშებს, ბერუაშვილის არყოფნა მართლაც დანაკლისი იქნება აზოტელთათვის.

ფარქვეშ ბერუაშვილის ადგილს დინამოელებთან შეხვედრისას 44 ქულის ჩამგდები ზვიად ბაბიაშვილი დაიკავებს, რომელიც არჩილ ჟღენტთან ერთად წინა ჩემპიონატში სწორედ უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა და ახლა მშობლიური გუნდის წინააღმდეგ მოუწევს მოედანზე გამოსვლა.

აღსანიშნავია, რომ წელს ორივე გუნდი ძირეულად გადახალისდა. „აზოტი“ დატოვა ბოისამ, წიკლაურმა, უნივერსიტეტი კი ჟღენტმა და ბაბიაშვილმა.

როგორც თსუ-ს მწვრთნელებმა თქვეს, ჟღენტი და ბაბიაშვილი რომ უნივერსიტეტში დარჩენილიყვნენ, მათ ისეთივე პრეტენზია ექნებოდათ ჩემპიონატზე, როგორც ახლა რუსთავის „აზოტს“.

ბრძოლას უნდა ველოდოთ უკანა ხაზზეც, სადაც გაბისონია — ჟღენტი — გოგიბერიშვილის სამეული ყველა გუნდისათვის ჯერჯერობით დაუძლეველია. ვნახოთ სტუდენტური გუნდის უკანახაზელები ამას როგორ მოახერხებენ.

მოკლედ, თამაში მართლაც საინტერესო იქნება და ვერის ბაღში გულშემატკივარიც თუ მრავლად მოვა, ამას რაღა აჯობებს.

**ზურაბ გონაშვილი**

# მსაჯო, გამკაცრდი!

ამას წინათ ვერის ბაღში სდასუ — „აზოტის“ შეხვედრისას გვარიანი ჩხუბი რომ ვიხილეთ, ამის შესახებ „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება. მაგრამ ახლა ამაზე აღარ შევჩერდებით და მოვლენების შემდგომ განვითარებაზე გეტყვით.

სადისციპლინო კომისიამ გუნდების საქმე რომ განიხილა, ჩხუბისთავებს — ბერუაშვილსა (აზოტი) და ორჯონიკიძეს (სდასუ) შესაბამისი სასჯელიც დაადო — ორ-ორი თამაშით ჩამოაშორა თავისიანებს, ხოლო რუსთაველ ჯაფარიძეს და სტუდენტ ჩხეიძეს პირობითი დისკვალიფიკაცია აკმარეს.

შესაბამისი სასჯელიო, კი ვთქვით, მაგრამ ამის შემდეგ ვერის ბაღში ხშირად გაიგონებდით მავანთა გულისწყრომას — ამოდენა შეხლა-შემოხლა იყო და მარტო ორი თამაში რა ბედენაა, უფრო მკაცრად უნდა დასჯილიყვნენო. სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე ჯონი ქარჩავა კი თავისაზე იდგა და აი, თურმე რატომ — თამაში გაგრძელდა, არც ერთი მხრიდან მსაჯებს არავინ გაუძევებიათ და დებულების თანახმად მეტის უფლება ჩვენ არ გვქონდა, ასეთი გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღეთო. თუმცა ისიც დაამატა, მსგავს შემთხვევაში, როგორც წესი, კალათბურთელი მოედნიდან უნდა გააძევო, მსაჯების გადაწყვეტილებისა კი ახლაც ვერაფერი გამიგია და მათი საქმის გარჩევა მსაჯთა კოლეგიას დაევალაო.

ჰოდა, ორიოდე დღის წინ მსაჯთა კოლეგიამაც მურმან ქურიძის ხელმძღვანელობით ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: იმ შეხვედრის არბიტრებს ალექსანდრე როსტომაშვილსა და ზურაბ ანდრიაძეს გარჯა არ მოუწონეს, არასწორად მოიქეციო, გაკიცხეს და დროებით აუკრძალეს მსაჯობა.

**გენადი ტურძელაძე**

# ბოისა კარგად მოეწყო

## შაბათს კი სტეფანიას გაეჯიბრება

*არცთუ დიდი ხანია, რუსთავში გაზრდილ-დავაჟკაცებულმა, ვლადიმერ ბოისამ სლოვენიას მიაშურა. ბევრი ცდილობდა მის ხელში ჩავდებას, პირობებსაც სულ ნაირ-ნაირს სთავაზობდნენ, მაგრამ თავად ბოისამ არჩევანი სლოვენურ ვარიანტზე შეაჩერა და მომავალი, ჩვენთვის კარგად ნაცნობ „ოლიმპიას“ დაუკავშირა, დიახ, სწორედ იმ „ოლიმპიას“, სადაც ვლადიმერ სტეფანია გამოიწრთო და ახლაც მაღალი მწვერვალებისკენ იკაფავს გზას.*

*ახლა კი ბოისას ჯერია. მანაც უნდა გაიაროს იგივე, ცხადად შეიგრძნოს საკალათბურთო ევროპის მაჯისცემა. მუხლჩაუხრელი შრომაა პირველი წინაპირობა მისი წარმატებული კარიერისთვის. ვინძლო ისეთი სასახელო დადგეს, ქვეყანა აალაპარაკოს. ამის უნარი კი ვოვას ნაღდად შესწევს. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი, ახლა ყველაფერი მხოლოდ მასზეა.*

*რას აღარ ამბობდნენ მისი საქართველოდან გამგზავრებისას. ბევრისგან იმასაც მოისმენდით, რომ ვოვა სამუდამოდ დავკარგეთ. ეგ აქ ჩამომსვლელი აღარააო, ამტკიცებდა მავანი ჯიუტად.*

*„ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს, ჩემი სამშობლო საქართველოა და მხოლოდ ჩემი ქვეყნის ნაკრებზე ვფიქრობ. ერთი სული მაქვს, როდის გამომიძახებენ მწვრთნელები და მერე მე ვიცი“ — გვითხრა გუშინ ვლადიმერ ბოისამ და ეს სიტყვები ისეთი ბავშვური მიამიტობით იყო ნათქვამი, კაცი ეჭვს ვერ შეიტანდა მათ გულწრფელობაში.*

*აქამდე ბოისას ამბებს სტეფანიასგან ვიგებდით. ახლა კი, როცა პატარა ვოვა საკუთარ, ოროთახიან ბინაში მოეწყო და ტელეფონიც დაიდგა, ჩვენ რაღა გაგვაჩერებდა. ჰოდა, უმალ შევეხმიანეთ.*

— სწორედ რომ კარგ დროს დარეკეთ. ეს წუთია, შინ შემოვედი. დილის ვარჯიშზე ვიყავი, ახლა დაძინებას ვაპირებდი, მერე კი, 7 საათზე, მეორე ვარჯიშზე მივდივარ.

**— ეგ ყველაფერი კარგი, ამას წინდაწინვე შეგუებული იქნებოდი. ახლა ზუსტად გაგვარკვიე — შენს კონტრაქტს ვგულისხმობ „ოლიმპიასთან“. აქ ამაზე ჭორის დონეზე ლაპარაკობენ და იქნებ თავად გვითხრა ყველაფერი.**

— „ოლიმპიასთან“ 4 წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ყველაფერზე შევთანხმდით და სიმართლე გითხრათ ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

**— პირობები როგორია, შეეჩვიე თუ არა უცხო ქვეყანას?**

— რომ ვთქვა, იდეალური პირობებია-მეთქი, მართალი არ ვიქნები, თუმცა სავსებით მისაღები და დამაკმაყოფილებელია. ყველაფერი მაქვს, რაც კი მომესურვება, რაზეც საქართველოში ვერც კი იოცნებებს კაცი. აგერ, ბატონო, მშვენიერი ბინაც გამომიყვეს, ტელეფონიც დამიდგეს, მოკლედ, ყველანაირი პირობები შემიქმნეს და მეც ისღა დამრჩენია, ვივარჯიშო. მეტი არაფერი მაქვს საფიქრალი. მხოლოდ ვარჯიში.

**— სტეფანიასგან გავიგეთ, უკვე თამაშებიც ჩაატარაო, ოღონდ სხვა გუნდში.**

— ჰო, უკვე მათამაშებენ კიდეც, მაგრამ არა „ოლიმპიაში“. იქვე, ლუბლიანადან 40 კილომეტრში პატარა ქალაქია პოსტოინა, რომელსაც ამავე სახელწოდების გუნდი ჰყავს და უმაღლეს ლიგაში გამოდის. ამ კლუბში ერთი წლით გამანათხოვრეს. ახლა იქ ვთამაშობ, ვარჯიშით კი დილაობით „ოლიმპიასთან“ ერთად ვვარჯიშობ, ხოლო საღამოს მაკითხავენ და მანქანით ჩავდივართ პოსტოინაში. შემდეგ უკან ჩამომიყვანენ და ასე გრძელდება ყოველდღე. თამაშითაც სწორედ მათ რიგებში ვითამაშე, ერთი თასის და ერთიც პირველობის მატჩი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ არცთუ ძლიერი გუნდია. ამჟამად მერვე ადგილზე ვიმყოფებით. საერთოდ სლოვენიაში 4 გუნდია საუკეთესო, რომელთაც დანარჩენები კონკურენციას ვერ უწევენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლა სწორედ მათ შორის მიმდინარეობს.

**— ისიც გავიგეთ, ბოისას პატარა უსიამოვნება მოსვლია და 1-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუციათო. ამაზე რას გვეტყვი?**

— მართალია. ეს წინა შაბათს მოხდა, როდესაც ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მოწინააღმდეგე გუნდის კალათბურთელს შევეჯახე. ორივე წავიქეცით. შემდეგ იმან წიხლი მომარტყა. მეც აღარ მოვუთმინე და უხეშად ვუპასუხე. ამადაც დამსაჯეს, თუმცა მწვრთნელმა მაინც მანუგეშა და შემაქო, კარგი ბიჭი ხარ, ასეც უნდა მოქცეულიყავიო. ამიტომაცაა, ხვალინდელი შეხვედრის გამოტოვება რომ მიწევს და შაბათსღა ვითამაშებ. თვით „ოლიმპიას“ ვხვდებით შინ.

მეორე შეხვედრა თასისა იყო, სადაც ყველაფერი კარგად გამომივიდა და 20 ქულაც გავაკეთე. მწვრთნელიც კმაყოფილი დარჩა. თუმცა წავაგეთ და ასპარეზობას გამოვეთიშეთ.

**— ვოვა, თავად წვრთნის სპეციფიკაზეც გვითხარი ერთი-ორი სიტყვა.**

— როგორ გითხრათ. აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდები აქვთ. ყოველდღე ერთი საათი შტანგაზე ვარჯიშს ეთმობა, ყოველივე ამის მერე ბურთთან ვმუშაობთ. აი, მაგალითად, გუშინ საათნახევარი მარტო დრიბლინგზე ვივარჯიშეთ, ბურთის ტარებასა და ტექნიკას



ვლადიმერ ბოისა

გურამ [illegible] ფოტო

ვხვეწდით. დღეს ამდენივე დრო მხოლოდ პასებს და ზუსტი გადაცემების დამუშავებას დავუთმეთ. გვითხრეს, ხვალ მარტო სროლები იქნებაო და ასეა.

მართალია, ყოველივე მეტისმეტად შრომატევადია, მაგრამ უკვე მივეჩვიე და მომწონს კიდეც. თავსაც ვატყობ, რომ ახლა უფრო მეტი შემიძლია და ამას რა სჯობს.

**— რომელ პოზიციაზე გათამაშებენ?**

— უფრო ხშირად ჩვეულ, სამ ნომრად ვდგავარ, მაგრამ ცოტა არ იყოს, დაბალი გუნდია, სიმაღლის დეფიციტს განვიცდით და ხანდახან მეოთხე ნომრის ადგილზეც ვირჯები. გააჩნია, ვისთან ვთამაშობთ, თუმცა ეს ნამდვილად არ მიჭირს და მწვრთნელი რასაც მავალებს, ყველაფერს ვაკეთებ.

**— ვოვა, ენობრივი ბარიერი თუ გადალახე და საერთოდ, გვაინტერესებს, როგორ ცხოვრობ, თავისუფალ დროს რას საქმიანობ, მეგობრები თუ გაიჩინე?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, თავისუფალი დრო საერთოდ არ მრჩება. დღეში ორი ვარჯიში მაქვს, გართობას მხოლოდ შუალედში თუ მოვასწრებ. ერთი-ორჯერ ასეც მოვიქეცი და ვარჯიშზე აშკარად დაღლა დამეტყო. მწვრთნელმაც შემნიშნა და გადავწყვიტე, ამ დროს დავისვენო, ენერგია აღვიდგინო. სხვანაირად არ ხერხდება. ალბათ, ასეა საჭირო.

მეგობრობით კი, სტეფანიას თუ არ ჩავთვლით, რომელიც ყველაფერში ძალიან მეხმარება და მისი დიდი მადლობელიც ვარ, ერთ ზანგის ბიჭს დავუმეგობრდი. აფრიკელია, მალიდან, მეტად კარგი პიროვნებაა, ერთმანეთსაც მშვენივრად გავუგეთ. თანაც ჩემი თანაგუნდელია.

ლაპარაკით, მართალია, სლოვენურად ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ თითქმის ყველაფერი მესმის. ცოტ-ცოტა ვისწავლე კიდეც და ამ მხრივ პრობლემა ნაკლებად მაწუხებს. პარასკევს სულაც მეცადინეობას ვიწყებ. ერთ-ერთი სპეციალისტი მომამაგრეს, რომელიც სლოვენურად ამალაპარაკებს.

**— ნაკრებზე მინდა გკითხო. ამბობენ, 2 ნოემბრიდან ქვეყნის პირველი გუნდი შეკრებაზე გადადისო. შენც ხომ არ შეგხმიანებიან?**

— ამის თაობაზე ჩემთვის ჯერ არავის მოუმართავს. ახლახან სტეფანიასაც ველაპარაკე და არც მისთვის დაურეკავთ თბილისიდან. ისე, თუ გამომიძახებენ, თავს ძალიან ბედნიერად ჩავთვლი, დღენიადაგ ამაზე ვფიქრობ. ეროვნული ნაკრები ხომ ჩემი ოცნებაა და ქვეყნის ღირსების დასაცავად ვოვა ბოისა ყოველთვის მზად იქნება.

**გიორგი ბიკაშვილი**

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲑᲔᲓᲘ ᲩᲕᲔᲜᲡᲙᲔᲜ, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲘᲗ?

*ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისწინა საკვალიფიკაციო, ეგრეთ წოდებულ „ა“ ჩემპიონატში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებს რომ ბედმა და ბულგარელებმა ერთად გაუღიმეს, უკვე გაცნობეთ, მაგრამ მაინც გაგახსენებთ საქმის ვითარებას ხსენებულ საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობაზე ბულგარეთის ნაკრებმა უარი განაცხადა და მისი ადგილი ავტომატურად ერგო ჩვენს ნაკრებს, რომელმაც წინა შესარჩევ ეტაპზე მეცხრე ადგილი დაიკავა. არადა, „ა“ ტურნირში რვა გუნდი გადიოდა. მოკლედ, ჩვენმა ლამის უვარჯიშებელმა წყალბურთელებმა თუ მაშინ ვერ დაიმსახურეს ამ შეჯიბრში თამაშის უფლება, სამაგიეროდ, ავერ ბულგარელებმა „გამოუწოდეს“ დახმარების ხელი. ვერ გეტყვით, რა იყო მათი უარის მიზეზი, მაგრამ ახლა ეს არც გვაინტერესებს ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ. კერძოდ ის, თუ როგორ მოემზადება ჩვენი ნაკრები ამ ღვთით ბოძებული საჩუქრის შესარგებლად. საამისოდ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ᲒᲔᲚᲐ ᲢᲣᲙᲕᲐᲫᲔᲡ შევეხმიანეთ.*



გელა ტუკვაძე

გურამ [illegible] ფოტო

— ვიდრე უშუალოდ ნაკრებზე ვისაუბრებდეთ, ჯერ ამას გეტყვით: როგორც კი ხსენებულ საკითხზე ფედერაციაში ფაქსი მოვიდა, მისმა პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა მაშინვე შეკრიბა პრეზიდიუმი, რომელზეც გადაწყდა, რომ შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი არ გვეთქვა. რაც შეეხება ნაკრებს, მისი წევრები კლუბებში ან ინდივიდუალურად კი ვარჯიშობენ, მაგრამ ნაკრების ეგიდით ჯერ მზადება არ დაგვიწყია, თუმცა უახლოეს ხანს ამასაც შევუდგებით, ოღონდ ლეგიონერთა გარეშე. ჩვენ ისევ „ლაგუნა-ვერეზე“ მოვემზადებით, სადაც პრობლემა ალბათ არ გვექნება. ასევე მალევე დაისახება მზადების გეგმაც, რომელიც მთლიანად ფინანსებზეა დამოკიდებული. აქამდე გამართული ტურნირებისთვის სპორტის დეპარტამენტი გვაფინანსებდა. იმედია, ახლაც ასე იქნება.

**— ვინ გეყოლებათ მეტოქეებად, ეს კი იცით, მაგრამ მათ როგორ იცნობთ?**

— ჩვენთან ერთად არიან ხორვატია, რუმინეთი და პოლონეთი. ქვეჯგუფიდან ორი გუნდი გადის ფინალურ ეტაპზე. თუ ეს მოვახერხეთ, მართლაც დიდი წარმატება იქნება, თუ არა, სამომავლოდ „ბ“ ჩემპიონატში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე ჩავებმებით.

რაც შეეხება ფინალურ ეტაპზე გასვლას, სურვილი კი დიდი გვაქვს, მაგრამ ეს ძნელი ამოცანაა, რადგან ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდით. ამათგან მხოლოდ პოლონელებს შევხვედრივართ თურქეთში. ეს იყო ძალიან ძნელი მატჩი, რომელშიც ორი ბურთით დავმარცხდით. პოლონეთში სპორტის ამ სახეობას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა, ჩვენზე ბევრად უკეთესი პირობები აქვთ და მათი ნაკრები ახლა გაცილებით ძლიერია, ვიდრე, ვთქვათ, ათი წლის წინ. დღეს პოლონელებს უცხოელი მწვრთნელებიც ჰყავთ და ბევრ ტურნირშიც მონაწილეობენ. მიუხედავად ამისა, უბრძოლველად არაფრის დათმობას ვაპირებთ. ძალიან ძლიერია რუმინეთიც. გამიკვირდა კიდეც რომ თურქეთში, „ბ“ ჩემპიონატში იყო და ამ ეტაპისთვის არ იყო განთესილი. საბოლოოდ, რუმინელები თურქეთის ტურნირის გამარჯვებულნიც გახდნენ. ხორვატიაზე კი , მასზე არც ვლაპარაკობ. ამ გუნდის ძალაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ექს-იუგოსლავიური გუნდია და ყველა ტურნირში, სადაც ასპარეზობს, ყოველთვის ფავორიტი და მედალოსანია.

**— ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ღირსეულ ბრძოლას მომზადებაც სათანადო სჭირდება.**

— უკვე გითხარით, რომ ხეირიანი მომზადება ფინანსებზეა დამოკიდებული, ამ მხრივ კი ნამდვილად არ გვილხინს. ძირითადად აქ მოვემზადებით, თუმცა მიწვეულებიც ვართ თურქეთსა და ირანში საერთაშორისო ტურნირებზე, მაგრამ გამგზავრება უფულობის გამო ჯერ არ გადაწყვეტილა.

**— ნაკრებში ცვლილებებს ხომ არ აპირებთ, თქვენი აზრით, რომელი რგოლი საჭიროებს ყველაზე მეტად გაძლიერებას?**

— გუნდი გადახალისდება. ახალგაზრდულიდან შევარჩიე ხუთი კანდიდატი, რომელთაც გზადაგზა გამოვცდი. რაც შეეხება ნაკრების ძლიერსა თუ სუსტ მხარეებს, ადრეც ვამბობდი, რომ ნათამაშევმა ტურნირებმა ნათლად დაგვანახა ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციის სისუსტე. ამ პოზიციაზე ისე გავიჭირდა, რომ თურქეთში ვეტერანი თამაზ კუტივაძე წავიყვანეთ, ახლა კი მას ნამდვილად ველარ შევაწუხებთ, რადგან თავისი საქმე აქვს. ამ ამპლუაში იცდებიან გიორგაძე, ჩოდრიშვილი და ცაგარელი. მეკარეზე არას ვამბობ — ნიკა ასათიანმა ისე ძლიერად ითამაშა, რომ იგი უკონკურენციოდაა. ურიგოდ არ გამოიყურება დაცვაში ალავიძე — ლაითაძის წყვილი. ასე რომ, მეტ-ნაკლებად ძლიერი თუ სუსტი მხარეები უკვე ცნობილია. ახლა მთავარია ნაკლის გამოსწორება. ბიჭებს ჯერ ფიზიკურად დავტვირთავთ, მერე ტაქტიკურ-ტექნიკურადაც ვიმუშავებთ.

**— გავიგეთ, ნაკრების რამდენიმე წევრს უცხოეთში წასვლის შანსიც გამოსჩენია.**

— კიევში უნდა წასულიყო სათადარიგო მეკარე ირაკლი ბაქრაძე, მაგრამ ჯერჯერობით მისი კონტრაქტი არ მოხერხდა. ფინეთში მიდის გალაქტიონ ლაითაძე. ზურაბ ალავიძე უახლოეს დღეებში ერთ-ერთ დანიურ კლუბთან მოაწერს ხელს კონტრაქტზე. რა დონის კლუბებია, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ დარწმუნებული ვართ, ვარჯიშის ნორმალური პირობები მაინც ექნებათ და ნაკრების თამაშებზე მომზადებულები ჩამოვლენ...

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ**

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

# ᲒᲕᲨᲘᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ, ᲒᲕᲨᲘᲐ!

გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა ჭიდაობის ფედერაციის აღმასკომის გაფართოებული სხდომა, რომელსაც საკუთრივ აღმასკომის წევრებისა და ორიოდე ჟურნალისტის გარდა (ან კი მეტი როგორ დაესწრებოდა, როცა ჩვენთვის არავის არაფერი უცნობებია) რეგიონების წარმომადგენლები, ვეტერანები, ყველა ასაკის ნაკრებთა მწვრთნელები და სპორტის ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანისა და მისი მოადგილე ლერი ხაბელოვის ჩათვლით.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს სხდომა ჩვენს ჭიდაობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის განსახილველ-გასაანალიზებლად, მტყუან-მართლის გასარკვევად იყო ჩაფიქრებული. იქნებ მთლიანობაში მწვავე და კრიტიკული სიტყვები დარბაზში საკმაოდ გაისმა, მაგრამ ეს უფრო რეპლიკების დონეზე ხდებოდა, თავად კრიტიკა კი უმისამართო იყო და საუბარიც უფრო ზოგადი ხასიათისა გამოდიოდა. მხოლოდ აქა-იქ გაკრთა მოთხოვნა, პირდაპირ ვილაპარაკოთ, ჩავარდნის ნამდვილი მიზეზები დავასახელოთო. აღმასკომის სხდომამდელი „ფედერაციული“ ფრაზებიდან გამომდინარე, პირადად მე გაცილებით მეტს ველოდი ამ სხდომისგან, მან კი თავისი ზოგადი კამათით ფარსის შთაბეჭდილება დამიტოვა. ასეთი კატეგორიული განცხადების საფუძველს მწვრთნელთა კორპუსის შეძახილიც მაძლევს, ფედერაციის ხელმძღვანელთა გასაგონად რომ იყო ნათქვამი — ყველამ ყველაფერი იცის, ერთმანეთს თვალში ნაცარს ნუ ვაყრითო. ასაკით მანიპულირების წინააღმდეგ სიტყვით გამოსულ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ისიც კი უთხრეს, მაშინ ნურც ბიძაშვილ-მამიდაშვილობა იქნებაო (!). ახლა, როცა ყველაფერი დასრულდა, თამამად შემიძლია ვთქვა — „კრება დარჩა მხიარული“. ამაზე თუნდაც ისიც მეტყველებს, რომ სხდომამ, მოსმენის მიუხედავად, ნაკრებების მთავარ მწვრთნელთა მუშაობა არ შეაფასა. საერთოდ, ფედერაციისა და მწვრთნელთა კორპუსის პოზიციები მკვეთრად განსხვავებული მეჩვენა.

სხდომაზე არც მდგომარეობიდან თავის დაღწევის რეალური გზები დასახულა. მთავარი პრობლემა — დაფინანსება კვლავაც ჰაერში გამოკიდებული დარჩა. კახი ასათიანმა პირდაპირ განაცხადა, რასაც აქამდე ვაკეთებდით თქვენთვის, მეტის საშუალება არა გვაქვსო, ხოლო დეპარტამენტის დახმარება რომ საკმარისი არაა, ეს დღესავით ნათელია. ასე იყო მთელი შეხვედრის განმავლობაში — მწვრთნელები ლამის მთელი წლის მიუღებელ ხელფას-პრემიებს ითხოვდნენ მათთვის თუ სპორტსმენებისთვის, ფედერაცია დეპარტამენტს შეჰყურებს, ხოლო ამ უკანასკნელს ხელი წინდაწინ აქვს გაშვერილი ბიუჯეტისკენ. ზოგიერთებმა გამოსავლად ქვეყნის პრეზიდენტთან შეთანხმებული ჭიდაობის განვითარების პროგრამის შემუშავება მიიჩნიეს. პრეზიდენტის სიტყვა ან თუნდაც რეზოლუცია რომ საქმის კეთებას არ ნიშნავს, ეს მორაგბეთა ნაკრების მაგალითზეც დავინახეთ და ამიტომ ამ გზის ეფექტურობაშიც ეჭვი მეპარება. ვერც იმ ეიფორიას გავიზიარებ, ლერი ხაბელოვის დანიშვნით რომ არის გამოწვეული. ჭიდაობის ტრაგედიაა, როცა მისი ბედი დეპარტამენტში ყოფილი მოჭიდავის მოსვლაზეა დამოკიდებული.

სხდომაზე წამოიჭრა ელდარ კურტანიძის საკითხიც, რომელიც ნაკრებში ასპარეზობაზე უარს ამბობს. ეს თემა შენიღბული იყო უცხოურ კლუბებთან კონტრაქტების გაფორმებით, მაგრამ, რომ იტყვიან, ჭირმა თავი არ დამალა და ყველაფერს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით გობეჯიშვილმა მოჰფინა ნათელი. მან არაერთი პრეტენზია გამოთქვა ელდარის მიმართ („გვემუქრებოდა, თუ ბინას არ მიყიდით, ტურნირზე არ წავალო“ და ასე შემდეგ) და განაცხადა, უკვე ჩვენც დავიღალეთო. ამაზე გურამ სალარაძემაც ისაუბრა, რომელმაც კურტანიძეს პატრიოტიზმი შეახსენა, შენს სამშობლოს რომ სჭირდები, უნდა გამოადგეო. მე არ ვაპირებ კურტანიძის განსჯას, თუმც ის კი მინდა ვთქვა, რომ სახელმწიფოსაც უნდა ახსოვდეს თავისი სპორტსმენი.

რაც შეეხებათ ნაკრების მწვრთნელებს, ბეგი დარჩიამაც და ზაზა თურმანიძემაც თავისი წილი პასუხისმგებლობა იკისრეს, მაგრამ არც ფედერაციისადმი საყვედური დაივიწყებიათ მწირი ფინანსური ბაზის გამო, რაზეც პასუხად მიიღეს, ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს გიკეთებთო. დარჩიამ ისეთ პირობებში ვარჯიშს, ჩვენს მოჭიდავეებს რომ უწევთ, გმირობა უწოდა და დაამატა, ხშირად მშიერ სპორტსმენს ვარჯიშსაც ვერ ვავალებო...

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ**



კახი ასათიანი, დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი

გურამ [illegible] ფოტო

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

## ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ “CROCO”

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. თასის მერვედფინალი

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დუისბურგი — ბაიერნი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ბერლინი — ჰერტა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ვერდერი — დიუსელდორფი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| ზიგენი — ურდინგენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ლიგის თასი. მეთექვსმეტედფინალი

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიდლსბრო — ევერტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დერბი — არსენალი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ქრიუ — ბლექბერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ლიდსი —ბრედფორდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ბირმინგემი — უიმბლდონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მანჩესტერი — ბერი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. მერვედფინალი. პირველი მატჩები

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სამპდორია — ბოლონია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ფიორენტინა — ლეჩე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ატალანტა — რომა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| უდინეზე — ვიჩენცა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბარი — პარმა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ინტერი — დისანგრო | 1,1 | 6,0 | 12,0 |

29 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლაციო — მილანი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ თასის მეორე წრე. პირველი მატჩები

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევანტე — ესტრემადურა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| სევილია — სალამანკა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეიესი — ტენერიფე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| სპორტინგი — სარაგოსა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მალაგა — ვალიადოლიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლას პალმასი — ალავესი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტალავერა — ვილიარეალი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ნუმანსი — რასინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ხერესი — დეპორტივო | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ბადახოსი — ოვიედო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლეიდა — ოსასუნა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრონინგენი — ტონეგიდო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ემენი — ჰერენვენი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ექსელსიორი — პსვ ეინდჰოვენი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| დევენტერი — გრააფსხაპი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰერაკლესი — ბრედა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| უტრეხტი — ნაიმეგენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ტილბურგი — ცვოლე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აიაქსი — უდი 19 | 1,02 | 10,0 | 20,0 |

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი — დანფერმლაინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 6,5 | 3,2 | 1,5 |

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ჩემპიონატი. XIV ტური

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — ლუსტენაუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| შტაირი — რიდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| შტურმი — ზალცბურგი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ტიროლი — გრაცერი | 2,7 | 2,8 | 2,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# მიეცით ლატვიელს შანსი

*26 ოქტომბერი

**კოლორადო — ფინიქსი 1:5**

0:2 0:2 1:1

0:1 ტკაჩუკი 4'07 (3); 0:2 რენიკი 9'44 (2); 0:3 რონინგი 27'29 (2); 0:4 ტოკეტი 39'29 (2); 0:5 ტკაჩუკი 45'49 (4); 1:5 ჯონსი 56'39 (2)

წინა მატჩში ედმონტონის დამმარცხებელი კოლორადო სასტიკად განადგურდა. „კოვლანში" მხოლოდ ბოლო წუთებზე გაკურჩა სეზონში მესამე შათაუტს. კოლორადოელებს არც მსაჯის მიერ გაუქმებული ორი გოლი ამართლებს. ფინიქსელმა კიტ ტკაჩუკმა 3 (2+1) ქულა დააგროვა.

**ტორონტო — პიტსბურგი 0:2**

0:0 0:1 0:1

0:1 ლანგი 22'23 (3); 0:2 იაგრი 42'51 (2)

„პინგვინთა" ძირითადი მეკარის ტომ ბარასოს ტრავმამ კლუბის მესვეურებს სერიოზული საფიქრალი გაუჩინა, რადგან მისმა შემცვლელებმა პეტერ სკუდრამ და ჟან-სებასტიან ობენმა ვერ ივარგეს — 2 მატჩში 11 შაიბა გაუშვეს. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ორშაბათისთვის ბარასო, ფაქტობრივად, გამოჯანმრთელდა, სკუდრას კიდევ ერთი შანსი მისცეს. 25 წლის ლატვიელმაც ტორონტოელებთან პირველი მატჩის შეცდომები აღარ გაიმეორა და კლუბის ხელმძღვანელთა და ქომაგთა თვალში გამართლდა. მან კარიერაში პირველი შათაუტი მიითვალა, ხოლო მესამე პერიოდში სუნდინის, ბერეზინისა და მაიკ ჯონსონის უძლიერესი დარტყმები მოიგერია. არადა, მეორე მესამედში სკუდრას თანაკლუბელი ნეილ უილკინსონი ისე დაეჯახა, რომ მეკარე ორი წუთის განმავლობაში გონს ვერ მოვიდა. ლატვიელს პარტნიორებმა შრომა წყალში არ ჩაუყარეს და იაგრის (1+1) თავკაცობით ჩემპიონატის ლიდერს ორი გოლი გაუტანეს.



REUTERS ტორონტოდან

ტორონტოელ „პოლიციელ" ტაი დომს ზოგჯერ თავადაც ხვდება



კოლორადოელი მილან ჰეიდუკი თავისი კლუბივით აყირავდა

## სატურნირო ვითარება

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 7 | 5 | 1 | 1 | 19:11 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 7 | 3 | 2 | 2 | 17:17 | 8 |
| ფინიქსი | 6 | 3 | 1 | 2 | 17:12 | 7 |
| ანაჰაიმი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 5 |
| სან ხოსე | 6 | 0 | 2 | 4 | 10:18 | 2 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 7 | 4 | 2 | 1 | 18:10 | 10 |
| პიტსბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 16:18 | 7 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 3 | 0 | 3 | 12:13 | 6 |
| აილენდერსი | 7 | 3 | 0 | 4 | 15:18 | 6 |
| რეინჯერსი | 8 | 2 | 2 | 4 | 15:23 | 6 |

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 8 | 5 | 1 | 2 | 26:21 | 11 |
| მონრეალი | 7 | 3 | 1 | 3 | 17:14 | 7 |
| ბოსტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 15:14 | 7 |
| ოტავა | 6 | 3 | 0 | 3 | 17:16 | 6 |
| ბუფალო | 6 | 2 | 1 | 3 | 14:15 | 5 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი | 7 | 4 | 0 | 3 | 19:14 | 8 |
| ედმონტონი | 7 | 3 | 0 | 4 | 21:19 | 6 |
| კალგარი | 7 | 2 | 1 | 4 | 19:25 | 5 |
| კოლორადო | 7 | 1 | 1 | 5 | 17:29 | 3 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:10 | 8 |
| ფლორიდა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:11 | 7 |
| კაროლინა | 7 | 2 | 3 | 2 | 17:15 | 7 |
| ტამპა | 8 | 3 | 1 | 4 | 19:23 | 7 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 7 | 5 | 0 | 2 | 21:12 | 10 |
| ჩიკაგო | 7 | 4 | 1 | 2 | 19:19 | 9 |
| სენტ ლუისი | 6 | 3 | 1 | 2 | 17:16 | 7 |
| ნეშვილი | 7 | 1 | 1 | 5 | 15:22 | 3 |

*ბომბარდირები:* სუნდინი (ტორონტო) და საიდორი (დალასი) 11 (4+7); იაგრი (პიტსბურგი) 11 (2+9); შენაჰანი (დეტროიტი) 10 (7+3); ლინდროსი 10 (6+4); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) და საკიკი (კოლორადო) 10 (5+5); აიზერმანი (დეტროიტი) 10 (1+9); ჯენი (ტამპა) 9 (1+8); რექი (მონრეალი) 9 (0+9).

*სნაიპერები:* შენაჰანი 7; გერინი (ედმონტონი), ამონტე (ჩიკაგო) და ლინდროსი 6; ბერეზინი (ტორონტო), ლეკლერი, კლარკი (ტამპა) და საკიკი 5.

*ასისტენტები:* იაგრი, აიზერმანი და რექი 9; ფორსბერგი (კოლორადო) და ჯენი 8; სუნდინი და საიდორი 7.

*დარტყმები:* ბონდრა (ვაშინგტონი) 39; ბერეზინი და კარია (ანაჰაიმი) 35; ფლერი (კალგარი) 34; შენაჰანი (დეტროიტი) 32.

*საჯარიმო წუთები:* პრობერტი (ჩიკაგო) 43; ბრაუნი (ედმონტონი) 42; ოჯერსი (კოლორადო) 37; ლაკოვიჩი (ნიუ ჯერსი) 33; ოჯიკი (აილენდერსი) 32; უიმერი (კალგარი) 31; გერინი 30.

* * *

კიდევ კარგი, რომ შუაგულ კვირაში ლოს ანჯელესმა დეტროიტელი მეკარე ქრის ბახი შეიძინა, თორემ პარასკევს ტამპასთან შეხვედრაში სრულიად გამოუცდელი, 18 წლის ალექსეი ვოლკოვის ამარა დარჩებოდა. თითქოს კოლორადოსთან ბრძოლაში დაზარალებული ფისე და სტორი არ კმაროდნენ, „მეფეებს" ტამპასთან მატჩში მენი ლეგაჩეც დაუშავდათ, რომელმაც დარსი ტაკერთან შეჯახებისას მუხლის შერყევა მიიღო. მიუხედავად ბახის საკმაოდ კარგი თამაშისა, ლოს ანჯელესმა მაინც წააგო, თუმცა, საბედნიეროდ, კვირისთვის, კაროლინაში გასვლების წინ, ლეგაჩე გამოკეთდა. რაც შეეხება ფისეს, მას, ალბათ, მომდევნო შეხვედრაში ვიხილავთ.

* * *

ლიგაში სენსაციურად დაბრუნებულმა 35 წლის ჩელ სამუელსონმა, რომელიც ერთი მატჩის შემდეგ ზურგის ტკივილმა შეაწუხა, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

* * *

ნეშვილისა და კალგარის შეხვედრაში სეზონის ახალი რეკორდი დამყარდა. მატჩის მე-6 წამზე (!) სტუმარმა დერეკ მორისმა და მასპინძელმა დუგ ფრიდმანმა მუშტები აიქნიეს, რომელშიც უკანასკნელმა გაიმარჯვა. ამან ფრიდმანი ვერ დაამშვიდა და შემდგომ ორ დაჯარიმებას კლარკ უილმსთან შეჯახებაც მიაყოლა. „რეკორდსმენთა" მიღწევის გაუმჯობესება მეტიუ ბარნაბიმ სცადა, მაგრამ ვაშინგტონელმა ვეტერანმა დეილ ჰანტერმა, რომელიც ბუფალოელმა მატჩის პირველივე წამებზე ბორტს იქით მოისროლა, ჩხუბს თავი აარიდა.

* * *

უხეშობით საქვეყნოდ ცნობილ სანხოსელ ბრაიან მარჩმენტზე არაერთხელ განაწყენებულმა დალასელებმა ავყია ჰოკეისტზე ჯავრი იყარეს. შარშან მარჩმენტმა ერთბაშად სამი დალასელი, მათ შორის მაიკ მოდანოც, დააშავა, ჰოდა, ახლა სანხოსელი, რომელსაც მაყურებელი მთელი მატჩის განმავლობაში უსტვენდა, მასპინძელმა გრანტ მარშალმა მოიხელთა და ყინულს მიაჭყლიტა.

* * *

დალასის წარმატებების ერთ-ერთი უმთავრესი ხაწინდარი რიცხვმრავლობის ბრიგადების ბრწყინვალე თამაშია. 7 მატჩში გატანილი 19 გოლიდან დალასელებმა 13 (!) უმრავლესობაში ყოფნისას გააxერხეს, ხოლო მათი მცველი სერგეი ზუბოვი ამ დროს ყინულზე მხოლოდ სამჯერ არ იმყოფებოდა. რაც შეეხება დეტროიტს, მისი წარმატება მეტწილად უმცირესობაში კარის საიმედო დაცვას ეფუძნება. 7 შეხვედრაში 33 ჯერიდან „წითელფრთიანებმა" მხოლოდ ერთხელ გაუშვეს გოლი. ჯო საკიკმა კი უმცირესობაში უკვე მესამე შაიბა შეაგდო.

# მარკ მესიე: 600 გოლი!



მარკ მესიეს (მარცხნივ) თანაგუნდელი ტოდ ბერტუცი მე-600 გოლს ულოცავს

23 ოქტომბერს ლეგენდარულმა მარკ მესიემ უაღრესად საპატიო, 600-გოლიან ზღვარს მიაღწია, რაც ნჰლ-ს ისტორიაში მხოლოდ მეათედ მოხდა. ამ საიუბილეო გოლს მესიესგან ჯერ კიდევ შარშან ელოდნენ, მაგრამ ჰოკეისტმა და მისმა კლუბმა ვანკუვერმაც ერთობ უფერულად ჩაატარეს სეზონი. ახლა კი ვარსკვლავმა დიდხანს არ ალოდინა და ჩემპიონატის დასაწყისშივე გაახარა თავისი თაყვანისმცემელები.

კითხვაზე, მე-600 გოლი მისი კარიერის მწვერვალი ხომ არ იქნება, მესიემ უპასუხა, ამიერიდან 700 გოლზე ვაცხადებ პრეტენზიასო.

1. უეინ გრეცკი 886; 2. გორდი ჰოუ 801; 3. მარსელ დიონი 731; 4. ფილ ესპოზიტო 717; 5. მაიკ გარტნერი 708; 6. მარიო ლემიე 613; 7. ბობი ჰალი 610; 8. დინო სისარელი 602; 9. იარი კური 601; 10. მარკ მესიე 600

როგორც ამ სიიდან ჩანს, მარკ მესიე ათ დიად ჰოკეისტს შორის 80-იანი წლების ლეგენდარული ედმონტონის მესამე წარმომადგენელია და თუ მას თავის მეგობარ გრეცკის დაწევა ერთობ გაუჭირდება, კიდევ ერთ ყოფილ პარტნიორს, იარი კურის და სხვა სამ ცნობილ სნაიპერს, ალბათ, წლეულსვე გაუსწრებს.

# დუგ გილმორმა 800-იანთა კლუბში შეაბიჯა



სარბიელის არქივიდან

დუგ გილმორი

ჩიკაგოს პლეიმეიკერი, გამოცდილი დუგ გილმორი თავისი მორიგი პასით არა მარტო კლუბს დაეხმარა სან ხოსესთან ქულის მოპოვებაში, არამედ 800-იანთა კლუბშიც შეაბიჯა, სადაც 800 და მეტი შედეგიანი პასის მქონე გამთამაშებლები იმკვიდრებენ ადგილს. ამ საპატიო სიაში გილმორი მეოცეა, პირველი კი, რასაკვირველია, დიდი უეინ გრეცკია.

1. უეინ გრეცკი 1915; 2. პოლ კოფი 1090; 3. გორდი ჰოუ 1049; 4. მარსელ დიონი 1040; 5. რეი ბურკი 1037; 6. მარკ მესიე 1018; 7. რონ ფრენსისი 1009; 8. რონ მიკიტა 926; 9. ბრაიან ტროტიე 901; 10. დეილ ჰავერჩუკი 891; 11. მარიო ლემიე 881; 12. ფილ ესპოზიტო 873; 13. დენი სავარი 865; 14. სტივ აიზერმანი 853; 15. ბობი კლარკი 852; 16. ლარი მერფი 841; 17. ალექს დელვეკიო 825; 18. ჟილ პერო 814; 19. ჯონ ბიუსიკი 813; 20. დუგ გილმორი 800

ამ სიაში ცვლილებებიცაა მოსალოდნელი. ცოტაც და, რეი ბურკი მეოთხე ადგილზე აღზევდება, ადამ ოუთსს კი კლუბის წევრობამდე ორი პასიღა უკლია.

# სირცხვილის რეკორდები

ნეშვილთან მატჩში დეტროიტმა 57 დარტყმითა (ფაქტობრივად, ერთი დარტყმა ერთ წუთში!) და დარტყმათა სხვაობით — 42 (57:15) სეზონის რეკორდი დაამყარა. მეორე პერიოდში „წითელფრთიანებმა" 27-ჯერ შეაწუხეს მეკარე მაიკ დანჰემი, რომელმაც ყველა შაიბა მოიგერია. აილენდერსის და ედმონტონის 21 ოქტომბრის შეხვედრის ოქმში მაყურებლის რაოდენობის თაობაზე ინფორმაცია არ ყოფილა. ამის მიზეზით ის გახლდათ, რომ მატჩს ნჰლ-ისთვის სამარცხვინოდ ცოტა — 3000 მაყურებელი დაესწრო, რაც, ალბათ, ნიუიორკელთა და „ნასაუ კოლიზეუმის" არენის მესვეურთა შორის კონფლიქტის შედეგია.

# სუნდინი უკონკურენტო იყო

ტორონტოს ლიდერი მატს სუნდინი გასულ კვირას ისე გაისარჯა, რომ ლაურეატიც არჩევის დროს კონკურენტი, ფაქტობრივად, არ ჰყავდა. შვედმა 3 მატჩში 2 გოლი და 5 პასი მიითვალა და 11 (4+7) ქულით ბომბარდირთა სიას გაუძღვა, ხოლო მისმა კლუბმა მოულოდნელი გამარჯვებები იზეიმა დეტროიტსა და პიტსბურგში. საინტერესოა, რომ თავის ნჰლ-ურ კარიერაში სუნდინს ძირითადად აუტსაიდერი კლუბების ღირსების დაცვა უწევს, ამიტომ შესაძლოა, ეს სეზონი მისთვის გამორჩეული იყოს.

*კვირის საუკეთესო ექვსეული:*

გი ებერი (ანაჰაიმი); სერგეი ზუბოვი (დალასი) — ტომაშ კაბერლე (ტორონტო); სერგეი კრივოკრასოვი (ნეშვილი) — მატს სუნდინი (ტორონტო) — მარკ მესიე (ვანკუვერი)

**სამველ ლარიბიანი**

# რაღა მე მომხვდა...

პარასკევს დეტროიტისა და ტორონტოს მატჩში მეტად კურიოზული ფაქტი მოხდა. ტრიბუნაზე მჯდომი ერთ-ერთი გულშემატკივარი ბორტს იქით გადაფრენილმა შაიბამ ისე სერიოზულად დააშავა, რომ სამედიცინო დახმარება დასჭირდა



REUTERS დეტროიტიდან

## კრივი

ბედნიერი კაცია გიორგი კანდელაკი, ჯერ იყო და, ოქტომბრის დამდეგს თბილისში ბულგარელი მოკრივე სცემა, პროფესიულ რინგზე მესამედ იმარჯვა, თვითონაც გაიხარა და გულშემატკივარიც გვარიანად ახარა, მერე კი ქვეყანას თარაშ კანდელაკი მოევლინა და ვარიანელ მოკრივეს მამობის უბედნიერესი წუთებიც განაცდევინა

# 22 ნოემბერს გიორგი კანდელაკი ახალშეძენილი ვაჟის სახელზე იჩხუბებს


ამ ჭიქით თარაშ კანდელაკს გაუმარჯოს!

— ბიჭის შეძენამ მართლაც ძალიან გამახარა, თავი სიზმარში მგონია, მაგრამ ჩემს უცხოელ მენეჯერს და კრივის პრომოუტერებს ეს ნაკლებად აინტერესებთ, მით უფრო მეტოქეებს, ამიტომაც ძველებურად ვვარჯიშობ და საიანგლისოდ ვემზადები.

**— ბრიტანეთს როდის იკრივებ?**

— შეხვედრა 22 ნოემბერსაა დანიშნული, ლონდონს შვიდში გავფრინდები და იქ გავაგრძელებ მზადებას.

**— თუ იცი, ვის უნდა ეჩხუბო?**

— მითხრეს, სამხრეთაფრიკელი მოკრივეაო, ჯერჯერობით მისი არც გვარი უთქვამთ და არც ის, აქამდე რინგზე როგორ ირჯებოდა, თუმცა კარგად იცი, ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ყველასთან გამარჯვებისთვის ვიბრძვი და მით უფრო ახლა — 22 ნოემბრის ბრძოლას თარაშ კანდელაკს ვუძღვნი. ერთსაც გეტყვით, „სარბიელის“ მეშვეობით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „კოკა-კოლას“ და მის პრეზიდენტს ბატონ თემურ ჭყონიას. გეხსომებათ, თბილისში ბულგარელ მოკრივესთან ორთაბრძოლა სწორედ ბატონმა თემურმა დააფინანსა, ახლაც მხარში მიდგას და ნებისმიერი პრობლემის მოგვარებში კაცურად მეხმარება.

ცხადია, გიორგის საზრუნავი მოემატა, თუმც ვარჯიში ერთი დღითაც არ შეუწყვეტია, ნოემბერში ხომ ლონდონში უნდა იკრივოს, ჰოდა, პატარა თარაშთან თავს ხომ არ შეირცხვენს. გუშინ ვარიანში გიორგის შევეხმიანეთ, უპირველესად ვაჟიანობა მივულოცეთ და მომავალ ბრძოლაზეც დავეკითხეთ:

**სოსო ქოტორეიშვილი**

## რაგბი

# შავი თეთრების მარაქაში

მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთაფრიკელი მორაგბეები ნოემბერში დიდ ბრიტანეთს ეწვევიან და ოთხ ტესტ-მატჩს გამართავენ. 14 ნოემბერს „ქურციკებს“ უელსელები დაუხვდებიან, 21-ში შოტლანდიელები, ერთი კვირის თავზე მსოფლიოს ჩემპიონებს ირლანდიელები უმასპინძლებენ, 5 დეკემბერს კი მათი მეტოქე ინგლისელები იქნებიან.

აფრიკელები ბრიტანეთის უძლიერესი შემადგენლობით გაემგზავრებიან, თუმცა ნაკრების თავკაცებმა თერთმეტი ახალბედაც იახლეს, მათ შორისაა 23 წლის ოუენ ნუკუმანი, რომელიც პირველი შავკანიანი მორაგბე იქნება, რომელიც ქურციკთა ძირითადში დაიჭერს ადგილს.

**არჩილ ჭუმბურიძე**

# ძალიან დიდი სიამოვნება

ამ ბოლო დროს სპორტის ათასგვარი სახეობა წარმოიშვა. კაცმა რომ თქვას, ბევრ მათგანს სპორტს, როგორც ასეთს, ადამიანი ძალით თუ მიაკუთვნებს, მაგრამ ეს დღესდღეობით, როგორც ჩანს, ბევრს არ ანაღვლებს.

ის, რაზეც ახლა გვსურს საუბარი, ნამდვილად არ გახლავთ სპორტის სახეობა, თუმცა შეხება მასთან ნამდვილად აქვს და თან მრავალმხრივ.

ოდნავ შორიდან მოვუვლით — მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულია „ქემელ ტროფი“. ესაა საერთაშორისო კლუბი, უფრო სწორად ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მიუვალ ადგილებში, ყოველ წელიწადს, ამა თუ იმ დროს, აწყობს ლაშქრობებს, რომლის მთავარი მიზანი მონაწილეთა მოგზაურობით დაკმაყოფილებაა. „ქემელ ტროფის“ გაიგივება ავტორალისთან და სხვა ასპარეზობასთან ერთი უბრალო მიზეზის გამო არ შეიძლება — იგი არ გახლავთ შეჯიბრება. „ქემელ ტროფიში“ მთავარია, წინააღმდეგობები ყველამ დაძლიოს.

მაინცდამაინც „ქემელ ტროფის“ ვერ შევადარებ, მაგრამ საქართველოს პირობებში ნამდვილად არაა ნაკლები თბილისში რამდენიმე თვის წინ დაარსებული მოყვარულ მოგზაურთა კლუბი საკმაოდ ცნობილი სახელწოდებით — 4+4. ავტომოყვარულთა კლუბი ამ სახელწოდებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კარგა ხანია, ფუნქციონირებს, საქართველოში, კონკრეტულად კი თბილისში რამდენიმე თვეა, რაც დაარსდა.

კლუბის პრეზიდენტის პეტრე კარახანიანის თაოსნობით 4+4-ში გაწევრიანებულნი არიან ავტომოყვარულები, რომლებიც დროგამოშვებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობენ. ერთიც — 4+4-ში გასაწევრიანებლად აუცილებელია საკუთარი ჯიპის ყოლა და ყოველთვიური სიმბოლური გადასახადის შეტანა, რაც ყველა შემთხვევაში თქვენივე ავტომობილის გამართულ მდგომარეობაში ყოფნას მოხმარდება.

ერთი კვირის წინ კლუბის რამდენიმე წევრთან ერთად გახლდით რაჭაში. პირდაპირ გეტყვით — ეს იყო გრანდიოზული შთაბეჭდილება. მოგზაურობისგანაც დიდი სიამოვნება მივიღე.

4+4-ის წევრთათვის კარგადაა ცნობილი, რომ მოგზაურობაში მონაწილეობისას ყველაფერს უნდა ელოდე — გზაში შეგხვდება მდინარეც, ტალახიც, მოგიწევთ ტყეში გაჩერება, ღია ცისქვეშ ძილი, გადაბრუნებული მანქანების ამოტრიალება, ერთმანეთისთვის გზის გაკვალვა, მთიან ადგილებში, დახრილ ფერდობებზე მანქანით ასვლა, ხევის პირზე სიარული და მრავალი ასეთი გამოცდა, თუმცა საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ერთად უდიდესი სიამოვნების გრძნობას ტოვებს.

რაჭაში მოგზაურობა 4+4-ში გაწევრიანებული ავტომოყვარულებისთვის რიგით მესამე გახლდათ ბოლნისისა და ქარელის შემდეგ. ეს რაც შეეხება დიდ, რამდენიმედღიან და სერიოზულ მოგზაურობებს. ისე კი ხანდახან ეწყობა გასვლები თბილისს გარეთ. რაც შეეხება რაჭაში განცდილს, შეუძლებელია, ეს სიტყვებით აღწერო — როდესაც იძინებ ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე, უღრან ტყეში, ქვემოთ კი, საკმაო მანძილზე კაცის ჭაჭანება არ არის, როდესაც მანქანით კლდის პირზე გადაბრუნდები, როდესაც ტალახში ჩაფლობილი მეგობრის მანქანის ამოსაწევად ყველანი ერთად შრომობთ. არა! ეს ყველაფერი, თუ გაინტერესებთ, უნდა განიცადოთ. სიტყვებით იმ გრძნობებს მართლაც ვერ აღწერ.

ახლა კლუბის წევრებს „შესვენება“ აქვთ. მომავალ წელს კი, ზამთარში, კონკრეტულად ძველ ახალ წელს ბორჯომის ხეობაში აპირებენ გამგზავრებას. მანამდე კი მანქანებს გამართავენ.

არა, მოგზაურობა და თანაც ჯიპებით ძალიან, ძალიან დიდი სიამოვნებაა!

**ლაშა გოდუაძე**


4X4 რაჭაშიც ავიდა

# ფლოჯო გაკვეთეს

„პლანეტის უსწრაფესი ქალი გარდაიცვალა ეპილეფსიური ხუთვის შედეგად“, — ასეთი იყო ექსპერტთა განცხადება ფლორენს გრიფიტ ჯოინერის გვამის გაკვეთის შემდეგ.

ამით წერტილი დაესვა მითქმა-მოთქმას, ფლორენსი აკრძალული პრეპარატების ხანგრძლივმა მოხმარებამ იმსხვერპლაო.

მძლეოსნობის დედოფალი, რომელმაც 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე სამი ოქროს მედალი მოიგო, ამა წლის 21 სექტემბერს საკუთარ საწოლ ოთახში იპოვეს გარდაცვლილი და ჭორიც მაშინ აგორდა.

ახლა კი, კალიფორნიელმა პათანასტომებმა თქვეს თავიანთი სიტყვა. რიჩარდ ფუკიმოტომ, ორანჯის საგრაფოს კორონერთან არსებული ექსპერტიზის ჯგუფის თავმჯდომარემ, ორგვერდიანი საანალიზო ცნობა წაუკითხა ქალაქ სანტა ანაში შეკრებილ რეპორტიორებს.

ფუკიმოტომ განაცხადა, რომ გრიფიტ ჯოინერის გულში არაფერი უნახავს განსაკუთრებული და საეჭვო. თუკი ცხონებულის გულს ჰქონდა რაიმე თავისებურება, ესეც ისეთი, მძლეოსანთა გულებს რომ ახასიათებს. მისი აზრით, საბრალო ფლორენსი ეპილეფსიური ხუთვით გარდაიცვალა. რახან განსვენებულს ეძინა, თავიც მეტად თავისებურად ედო ბალიშზე და უეცარი ამოსუნთქვა ძილში ვერ შეძლო, რადგან გარე სასუნთქი გზები გადაკეტილი ჰქონდა. ჯოინერი ასეთსავე მდგომარეობაში, ბალიშში თავჩარგული უპოვიათ ოჯახის წევრებს.

ორადორი წამლის კვალი, რომელიც სხეულში აღმოუჩენიათ ფუკიმოტოს და მის ამხანაგებს, ტილენოლისა და ბენადრილისა იყო. პირველი განთქმული გამაყუჩებელი და გაციების მომშთობია მეორე ყელის ტკივილსა და სურდოს წამლობს.

ასე რომ, ჭორები ჭორებად დარჩა.

ავსტრალიელმა მძლეოსანმა ტანია ვან ჰეერმა სინანულით აღნიშნა, ფლოჯო (აგრე ეძახდნენ განსვენებულს) იმდენად ფენომენალური გახლდათ, რომ ჭორი მასთან დოპინგის მეგობრობისა, ყოველთვის მძლავრი იყოო.

ფლორენსის მწვრთნელი და ბიძაშვილი ბობ კერსი კი მედიას დაესხა თავს და მას „შხამიანი გველი“ უწოდა. მიცვალებულის სპორტულ ღირსებაში ეჭვის შეტანის გამო.

თუმცა, ფლორენს გრიფიტ ჯოინერისთვის ეს აღარაფერს ცვლის. ის თვენახევრის გარდაცვლილია და ახლა კრემაცია და საფლავიც ეღირსება.

სარბიელის არქივიდან

ეჭვები გაქარწყლდა: ფლოჯო დოპინგს არ უმსხვერპლია

## ფეხბურთი

### შვეიცარია

XV ტურის გადადებული მატჩი
**გრასჰოპერი 4:1 სიონი**
1:0 დე ნაპოლი (35), 2:0 კომიზეტი (66), 3:0 თურქილმაზი (83) 3:1 ტოლოტი (84), 4:1 ტიკვა (88)

### ჰოლანდია

თასის გათამაშება. ალკმაარი — მაასტრიხტი 3:1; ტვენტე — ვენლო 2:1; სიტარდი — ვალვაიკი 5:0; როდა — ვეენდამი 2:1 (დ.დ); ვიტესი — ვოლენდამი 3:0

### გერმანია

თასის მერვედფინალი. შტუტგარტი — დორტმუნდი 3:1; ბოხუმი — მიონხენგლადბახი 0:1; ვოლფსბურგი — არმინია 3:1; ობერჰაუზენი — ჰამბურგი 3:3 (4:3პ)

### ინგლისი

ლიგის თასის 1/16ფინალი. ნორვიჩი — ბოლტონი 1:1 (1:3პ); ლუტონი — ქოვენტრი 2:0; ტრანმერი — ნიუკასლი 0:1; ბარნსლი — ბორნმუთი 2:1; ჩარლტონი — ლესტერი 1:2; ნოტინგემი — კემბრიჯი 3:3 (4:3პ); ლივერპული — ფულემი 3:1; ნორთჰემპტონი — ტოტენჰემი 1:3; სანდერლენდი — გრიმსბი 2:1 (დ.დ.)

### იტალია

თასის 1/8ფინალი. იუვენტუსი — ვენეცია 1:1

### ავსტრია

მე-14 ტური. ლინცერი — რაპიდი 0:0

### შოტლანდია

ლიგის თასის ნახევარფინალი. სენტ ჯონსტონი — ჰართსი 3:0


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დუვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29